საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 16 მარტი, 2013 წელი.

№49 (7176)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდიოლებით და ჯიბეებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

კახასა შიგან რაცა დგას:

„საქართველოში სოფლის მეურნეობა არაა კონკურენტუნარიანი, ამიტომ ფეხებზე დავიკიდოთ, თუ გადარჩენა უწერია თავისით გადარჩეს, თუ არა და დაიღუპოს, არაა პრობლემა... სოფელში მცხოვრები მამაკაცები, სხვაგან წავიდნენ შავ მუშებად, ქალები — მეძავებად, არაა ეს ჩემი პრობლემა.

მეჩაიეობა და მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს ეკონომიკას დღემდე მძიმე ტვირთად აწევს, რადგან ეს დარგები საბჭოთა პერიოდში ხელოვნურად გაიბერა.

ჩვენ 700 ათასი გლეხური მეურნეობა გვაქვს. ყველას სესხი მივცეთ?

რაც უფრო ცოტა გლეხი გვეყოლება, მით უფრო ნაკლები თავის ტკივილი იქნება. (https://fbcdn-sphotos-c-a.akamaihd.net/hphotos-ash3/578020_178848025597034_1081777995_n.jpg)“.

5

სარედაქციო ფოსტა

მარტო ტელევიზორის ეკრანიდან კი არა, ლამის უთოდან და ჩაიდნიდანაც ერთი და იგივე სახეები გვმოძღვრავენ...

ნამდვილად უკვე აუტანელია ის ეგრეთ წოდებული „დაბალანსების პოლიტიკა“, რომელსაც ამჟამად ძართული სატელევიზიო არხები ახორციელებენ. რომელი არხიც არ უნდა ჩართო, ყოველდღიურად ერთი და იგივე ენაგაკრეფილი ადამიანები ერთსა და იმავეს, კახურად თუ ვიტყვით, ატყაჭუნებენ, ანუ ენაჭარტალობენ.

აგერ ახლა კიდევ ორი ასეთი ახალი მოტყაჭუნე პოლიტოლოგი გამოჩნდა, ნაციონალთა ბაცილით მოწამლული, ერთი, მგონი, დავით ოსეფაშვილია, მეორე კი ვინმე გიორგი, გვარი კარგად ვერ გავარჩიე. წინადღეს თეა სიჭინავას ჰყავდა „არგუმენტში“, ხოლო მეორე დღეს ორივენი ახლა ჟიჟილაშვილმა მიიწვია „პოლიტმეტრში“.

ხალხო, ჩვენი ქართული ტელევიზიის არხებო, შეგვიბრალეთ, შეგვიცოდეთ თქვენი ყოველდღიური მსმენელ-მაყურებლები. წამდაუწუმ ნუ გვაცქერინებთ თუთბერიძეებს, ხაჩიძეებს, ჯაფარიძეებს, გაბაშვილებს, მინაშვილებს, დარჩიაშვილებს. ნუთუ იმიტომ ჩამოვიცილეთ ისინი 1 ოქტომბერს, რომ ისევ მაგათ ვახედნინოთ ჩვენი ისედაც დაღლილი ყურები და თვალები ყოველწუთიერად?! ერთხელ და სამუდამოდ ხომ გავიგეთ, რაც უნდათ, რა მსოფლხედვაც ალიკლიკებთ. რა საჭიროა ყოველ ახალ მოვლენასა თუ საკითხზე ისევ და ისევ მაგათი ანტისაქვეყნო „ფილოსოფიური აზრების“ მოსმენა?!.



მე, მაგალითად, უკვე აღარ ვუყურებ აღარც კვესიტაძისა და აღარც პაიჭაძის აშკარად მიკერძოებულ პოლიტიკურ გადაცემებს. ისე ნუ გვიზამთ, რომ აღარც „მაესტროსა“ და „მეცხრე არხს“ ვუყუროთ!

თუ დღემდე ნაციონალთა სასარგებლოდ ცხადი და უცვლელი თუ შეფარული პოზიცია აქვთ საზოგადოებრივ მაუწყებელსა და „რუსთავი-2“-ს, პირდაპირ საკვირველია, რატომ მეტი პოლიტიკური, გინდაც პოზიციური პრინციპულობა არ დაეტყოთ „მაესტროსა“ და „მეცხრე არხს“?!

მგონი, უკვე დროა, თავი დავანებოთ არაფრისმთქმელ დემოკრატიულობანას თამაშს და, ერთი ძველი ანდაზისა არ იყოს, ამდენ ყბედობა-ლაქლაქში ოცნების ცხენი ჩვენივე მიზეზით გათავხედებულ ნაციონალ ამხანაგებს, ასევე გათავხედებული ზოგიერთი ევროპელი ამხანაგის მხარდაჭერით, არ მივაჭენებინოთ ისტორიული დროის წყალწაღებულთაგან ავად დაგეგმილ 19 აპრილის ხავს-მიტინგზე.

გაბრაზებულ ტელემაყურებელთა სახელით
ნოშრევან შაქარაშვილი,
ქ.თბილისი.

სცადეთ, „ნატოს“ მომხრეებო, დაგვარწმუნეთ!

ჩვენ, „ნატო“ და რუსეთი

3-4

ხაშმში

9

რევაზ ინანიშვილის სახლი ინგრევა!



ოთარ ჭილაძის

6

გზა მარადისობისაკენ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პარლამენტის თავმჯდომარე

ჩვენში მიმდინარე პროცესებზე უცხოეთში არასწორი ინფორმაციაა გავრცელებული

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაციის გავრცელების შესახებ საუბრობს. როგორც მან ვაშინგტონში კარნეგის ცენტრში მოხსენებით გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, აშკარაა, რომ გარკვეული არხებით არასწორი ინფორმაციაა გავრცელებული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

— ჩვენ ყველა დაინტერესებულ პირს განვუმარტეთ მათთვის საინტერესო საკითხები, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

ვიზიტის ფარგლებში დავით უსუფაშვილმა საპარლამენტო დელეგაციის წევრებთან ერთად კონგრესში რამდენიმე შეხვედრა გამართა. თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გარდა შეხვედრების ერთ-ერთი ძირითადი თემა სავაჭრო ურთიერთობების გარღმავება და ამერიკული ინვესტიციების საქართველოში მოზიდვა იყო.

— ამ საკითხებით საკმაოდ დიდი დაინტერესებაა კონგრესმენთა მხრიდან. რამდენიმე მათგანმა ძალიან კონკრეტული მიმართულებები გამოკვეთა სოფლის მეურნეობის სფეროში. მათ მზადყოფნა გამოთქვეს, რომ კიდევ უფრო დაინტერესდნენ იმით, რომ აქაურმა ბიზნესმენებმა საქართველოში საკუთარი ბიზნესი წამოიწყონ და განვითარდნენ, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

◎ შეხვედრა

ვინ როგორ კითხულობს ვენეციის კონვენციის დასკვნას

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი დღეს დილით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილს შეხვდა. როგორც მთავრობის სხდომიდან გამოსულმა წულუკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, კუბლაშვილთან რიგით მესამე შეხვედრის მიზანი იყო ერთმანეთში გაერკვიათ — „ვინ როგორ კითხულობს ვენეციის კომისიის დასკვნას“.

— ჩვენ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გვაქვს ერთნაირი ხედვა. ეს არის მედიასაშუალებების მიერ ვიდეოჩანაწერების და ტრანსლირების გაკეთებასთან დაკავშირებით კონკრეტული ცვლილებების შეტანა არსებულ კანონმდებლობაში, რომ მოსამართლემ შეძლოს ერთი მხრივ, მედიას გაუხსნას სასამართლო პროცესი, მაგრამ მეორეს მხრივ, თვითონ არ დაზიანდეს თავის საქმიანობაში. ამ მხრივ, ჩვენი პროექტი დაზუსტდება. გარდა ამისა, შევთანხმდით იმაზე, რომ თავმჯდომარე მოსამართლეებს ექნებათ მოსამართლეთა კონფერენციაზე კენჭისყრის უფლება, მაგრამ იუსტიციის სამინისტრო რვა მოსამართლესთან დაკავშირებით რჩება თავის პოზიციაზე.

— კერძოდ, მივიჩნევთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რვა წევრი მოსამართლიდან მხოლოდ ერთი შეიძლება იქნას შენარჩუნებული, რადგან მხოლოდ ის აკმაყოფილებს ახალ კრიტერიუმებს, დანარჩენები კი უნდა იქნენ თავიდან არჩეული. ამის შესახებ ბატონ კუბლაშვილთან გვქონდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

მისივე განმარტებით, მთლიანობაში შეხვედრა იყო კონსტრუქციული და მშვიდობიანი.

მისივე ინფორმაციით, არსებობს სურვილი, რომ ორშაბათამდე მასა და კუბლაშვილს შორის კიდევ ერთი, უფრო გაფართოებული შემადგენლობის შეხვედრა გაიმართოს, რომელშიც პარლამენტარებიც ჩაერთვებიან.

◎ განათლება

პატივცემულო სტუდენტებო, ნუ გახდებით ბენდუქიძის პოლიტიკური მძევლები!

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი სტუდენტებს მოუწოდებს, ნუ გახდებიან ბენდუქიძის პოლიტიკური მძევლები, — ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს მთავრობის დღევანდელი სხდომის შემდეგ განუცხადა. მისივე თქმით, სტუდენტებზე იმ შემთხვევაშიც იზრუნებს, თუ ისინი კახა ბენდუქიძის ბინძურ თამაშს გააგრძელებენ.

— პატივცემულო სტუდენტებო, ნუ გახდით ბენდუქიძის პოლიტიკური მძევლები. თუ თქვენ მაინც გააგრძელებთ ამას და მიჰყვებით მას თავის ბინძურ თამაშში, რადგან ამ ადამიანს ცხოვრებაში სუფთა თამაში არ უთამაშია, მე მაინც ვიზრუნებ თქვენზე. უკვე ვმუშაობ უკეთესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაზე ტექნიკურ უნივერსიტეტში და მეტიც, იქ სწავლა იქნება უფასო. შესაბამისად, ნუ იქნებით ბენდუქიძის პოლიტიკური სიბინძურის მძევლები, - მიმართა გიორგი მარგველაშვილმა სტუდენტებს.

განათლების მინისტრმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ აგრარული უნივერსიტეტი არ გაუქმებულა, რადგან განკარგულება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ ძალაში 4 თვეში შედის.

— რამდენიმე დღეა ინფორმაციული მარაზმი მიმდინარეობს, რომლის ფონზე ადამიანი, რომელსაც აქვს მედიაგავლენები, თავის მსხვერპლად წარმოჩენას ცდილობს. სინამდვილეში შინაარსი მარტივია. ბატონი ბენდუქიძე უნდა დაემორჩილოს საქართველოს კანონმდებლობას და უნდა შეასწოროს უნივერსიტეტის შინაგანაწესი. აგრარული უნივერსიტეტი არ არის დახურული. განკარგულება კი ავტორიზაციის გაუქმების შესახებ ძალაში შედის 4 თვეში. ამდენი მარაზმატული ტყუილის და სტუდენტების მძევლად აყვანის ფონზე საზოგადოება ერთი კვირაა, აკვირდება იმ უხამსობას, რომელიც მედიით მიმდინარეობს. ახლა პირდაპირ გინებაზეც გადმოვიდნენ. თუმცა მე ვცდილობ, შევქმნა ალტერნატიული ბაზა იმ შემთხვევისთვის, თუ ბენდუქიძე გააგრძელებს უმანკო შეურაცხყოფილი როლის თამაშს და სტუდენტები კვლავ მძევლად ეყოლება, — აღნიშნა მარგველაშვილმა.

წინა მთავრობის მინისტრები თვეში, საშუალოდ, 16 000 ლარის ხელფასს იღებდნენ

ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დაწყებამდე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განუცხადა. მინისტრის განმარტებით, იყო თვეები, როდესაც კონკრეტულ მინისტრებს აღებული ჰქონდათ 27 000 ლარი.

— მინისტრის საშუალო ხელფასი დაახლოებით 10-12000 ლარს შეადგენდა, რაც დღეს შემცირებულია. ვფიქრობ, ციფრების შედარება მარტივია. მცირდება შრომის ანაზღაურების ხარჯები ყველასთვის, მათ შორის — მინისტრებისთვის. მოქმედი კანონმდებლობით, შრომის ანაზღაურებაში შედის სამი ნაწილი: თანამდებობრივი სარგო, პრემია და დანამატი. კანონმდებლობა პრემიის არსს არ განსაზღვრავს, მაგრამ პრემიერმა მიიღო ლოგიკური გადაწყვეტილება. არ შეიძლება ყოველ თვე პრემია მიიღო, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ფინანსთა მინისტრის ინფორმაციით, წელიწადში ერთხელ პრემიერი მიიღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული მინისტრისთვის პრემიის მოცულობასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ ამ მინისტრმა რაიმე განსაკუთრებული სამუშაო შეასრულა.

პრემიერ—მინისტრის გადაწყვეტილებით, მინისტრების ხელფასი 12%-ით მცირდება. ასევე, მთავრობა უარს ამბობს ყოფილი ხელისუფლების მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, როდესაც მინისტრები ყოველ თვეში, ან თვეში რამდენჯერმე, თვითონვე იწერდნენ პრემიებს. მინისტრები ყოველთვიურად, ყოველგვარი სახელფასო დანამატით, ხელზე აიღებენ 6300 ლარს. პრემია კი, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, წელიწადში ერთხელ გაიცემა.

ინტერპრესი

◎ თანამშრომლობა

საქართველოს შსს-ს სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციის დელეგაცია ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვიზიტით ეწვია სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციის (ICDO) დელეგაცია გენერალური მდივნის ნავაფ ალ სლეიბის ხელმძღვანელობით.

ICDO-ს წევრები საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს შეხვდნენ და საჩვენებელ ღონისძიებას სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს ბაზაზე დაესწრნენ. მოწვეულმა სტუმრებმა მაშველების პროფესიული მომზადების დონე დადებითად შეაფასეს და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვეს. ღონისძიების დასასრულს, ICDO-ს გენერალურმა მდივანმა სამაშველო ბაზის ხელმძღვანელს თავისი ორგანიზაციის სიმბოლიკიანი სამახსოვრო მედალი გადასცა.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია საქმიანი შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან.

სტუმრები, ასევე ეწვევიან შსს-ს „112-ის ქოლ-ცენტრს“ და რუსთავის მომსახურების სააგენტოს.

სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციის მიზანია, სამოქალაქო თავდაცვის ქვედანაყოფების შექმნისა და აღჭურვის ხელშეწყობა, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად ქვეყნებს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარება და კატასტროფებით დაზარალებული ადამიანებისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების უზრუნველყოფა. საქართველო ICDO-ს წევრი 1995 წელს გახდა.

ჯი-ეიბ-ენი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სცადეთ, „ნატოს“ მომხრეებო, დაგვარწმუნეთ!

ჩვენ, „ნატო“ და რუსეთი

10-12 წლის წინათ, როცა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებში ნაკლებად ვიყავი ჩახედული, ამერიკაზე და „ნატოზე“ დიდ იმედებს ვამყარებდი და, მიუხედავად იმისა, რომ „ნატოს“ მიერ იუგოსლავიის დაბომბვის დროიდან (კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში, 1999 წ.) უკვე ეჭვის ჭია მყავდა გვარიანად შეჩენილი, გაჭირვებული საქართველოს დამხმარედ, ტერიტორიული პრობლემების მომგვარებლად და რუსეთის საპირწონედ, მაინც ამერიკა – „ნატო“ მესახებოდა.

მას შემდეგ, რაც ინტერნეტის(!) წყალობით შესაძლებელი გახდა უამრავი ინფორმაციის მიღება ალტერნატიული წყაროებიდან და მეც სულ უკეთ და უკეთ ვწვდებოდი მსოფლიოში მიმდინარე (და წარსული!) მოვლენების არსს, ცხადია, დასავლეთის მიერ მსოფლიოში გატარებულ პოლიტიკაზე შეხედულება კარდინალურად შემეცვალა. არა, რუსეთზე აზრი არ შემცვლია, მას გაცილებით უკეთ ვიცნობდი და მის იმპერიულ ზრახვებში არასოდეს შემიტანია ეჭვი, თუმცა, ბევრი რამ გავიგე როგორც ოქტომბრის რევოლუციაზე, ისე – რუსეთის 80-90-იანი წლების „პერესტროიკაზე“, მათ დამფინანსებლებზე და მომწყობებზე. **აზრი, სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებულ შტატებზე და „ნატოზე“ შემეცვალა, და ეს იყო ყველაზე დიდი გაწბილება, იმედების მსხვრევა ჩემს ცხოვრებაში!**

ამ წინათქმით ჩემი სუბიექტური პოზიცია კი დავაფიქსირე, მაგრამ მაინც შევეცდები ობიექტურად განვიხილო „ნატოში“ საქართველოს გაწევრების დადებითი და უარყოფითი მხარეები. როგორც გვარწმუნებენ, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას კურსი „ნატოსკენ“აქვს აღებული. ეს მართლაც ასე იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაახლოებით 16-17 წლის მანძილზე. ყველას გვახსოვს ცხრა წლის წინანდელი განწყობა, როცა **„ნატოში“ შესვლას თითქმის ისევე უჭერდა საქართველოს მოსახლეობა მხარს, როგორც – ახალგაზრდა მიხეილ სააკაშვილს.** ოთხი(!) წლის შემდეგ კი, საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად მიმდინარე პლებისციტმა (2008 წლის 5 იანვარს), არჩევნების დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე (დღის ოთხი საათისთვის) „ნატოში“ შესვლის მომხრეთა კატასტროფული ვარდნა დააფიქსირა – ადრინდელი 87 %-დან 61.1 %-მდე (თბილისის პირწმინდად წაგების შემდეგ სააკაშვილის გადარჩევა მეტად სათუო შეიქნა, ამიტომ „ნაცმოძრაობამ“ მთელი ყურადღება მისთვის ხმების 51-52 %-ის მოგროვებაზე გადაიტანა და ამ გაწამაწიაში „ნატოც“ მისახედი რომ ჰყავდა, სულ გადაავიწყდა)!

სასწრაფოდ ამუშავდა ცნობილი გამყალბებლების – მაჭავარიან-გოგორიშვილ-თარხნიშვილის საარჩევნო მანქანა „ნატოს“ მიმართულებითაც და „სამარცხვინო“ პროცენტებიც გამოსწორდა – 61-დან 77(!) %-მდე გაიზარდა (ნებისმიერი არჩევნების დროს, მის დასრულებამდე დარჩენილ 2-3 საათში მხოლოდ ერთი, დიდი-დიდი რამდენიმე პროცენტით თუ იცვლება მონაცემები, მაგრამ 16 %-ით მატება არ ახსოვს არჩევნების ისტორიას არსად მსოფლიოში!).გინესის ამ რეკორდის „გამოცხობით“ „ნაცმოძრაობამ“ თავაწეულმა უპატაკა დასავლეთს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის „ჭეშმარიტი“ განწყობის თაობაზე!). ეს პარადოქსი სათანადო ყურადღების მიღმა დარჩა ოპოზიციასაც, რადგანაც მისი მთელი ძალისხმევა მეორე ტურის მოთხოვნისკენ იყო მიმართული.

ბოლო ხუთ წელიწადში განვითარებულმა მოვლენებმა – დასავლეთის მხრიდან სააკაშვილის ხელისუფლების აშკარა მხარდაჭერამ, საქართველოს მოსახლეობას ბევრ რამეზე აუხილა თვალი. და დარწმუნებული ვარ, დღეს რომ ჩატარდეს პლებისციტი „ნატოში“ შესვლასთან დაკავშირებით, მოსახლეობის ნახევარზე მეტი იტყვის „არას“. ჩემს მოსაზრებას თვით ისეთი ორგანიზაცია ადასტურებს, როგორიცაა ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), რომლის კვლევებს ეჭვის ქვეშ არც დასავლეთი აყენებს და არც – „ნაცმოძრაობა“. ამ ორგანიზაციამ უკვე 2010 წლის მაისში, ანუ 2008 წლის არჩევნებიდან სულ რაღაც ორ წელიწადზე ოდნავ მეტ დროში, დააფიქსირა „ნატოს“ მხარდამჭერთა ვარდნა 62 %-მდე(!), ანუ ზუსტად იმ მაჩვენებლამდე, რამდენიც იყო არჩევნების დღეს ოთხი საათისთვის! დასავლეთის მიერ გაგრძელებული იგივე პოლიტიკა – სააკაშვილ-„ნაცმოძრაობის“ სრულ განუკითხაობაზე, თუნდაც მხოლოდ 26 მაისზე თვალის დახუჭვა, უეჭველად, კიდევ უფრო გაზრდიდა „ნატოსგან“ გაუცხოების ტენდენციას. ამის ირიბ დადასტურებად შეგვიძლია მოვიყვანოთ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI)2012 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული კვლევები, რის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის 83 %(!) რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის სურვილს და მზაობას გამოთქვამს. არადა, დაწყებული 1991 წლიდან – საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდან ღამის ამდენივე პროცენტს რუსეთის გაგონებაც არ სურდა! კითხვის დაკონკრეტების შემთხვევაში კი – „მხარს უჭერთ თუ არა საქართველოს „ნატოში“ შესვლას აფხაზეთ-სამაჩაბლოს გარეშე“, ეჭვი არ მეპარება, 90 % იტყვის „არას“.

მაინც რა აუცილებლობითაა განპირობებული ჩვენი „ნატოში“ შესვლა და, თანაც, რაც შეიძლება მალე, უახლოეს მომავალში? **როგორც ძველი, ისე ახალი ხელისუფლების ერთადერთი მოტივი არის ქვეყნის უსაფრთხოება – „ნატოში“ გაწევრების შემდეგ უბატონოდ ხმას ვერ გაგვცემს ვერავინ!** სწორია? აბსოლუტურად, თითქმის აბსოლუტურად (გააჩნია ვინ დაგვესხმება თავს და შევა თუ არა „ნატოს“ ინტერესებში საქართველოს დაცვის გულისთვის შესაძლო მესამე მსოფლიო ომის წამოწყება)! ხაზს ვუსვამ, ეს მოტივი გვამოძრავებს ჩვენ, და არა – „ნატოს“. რატომ აიტკივებს ვინმე სხვისი დაცვით თავს, თუ თავად უფრო დიდი მიზანი არ აქვს დასახული! სწორია? რა თქმა უნდა, ესეც აბსოლუტურად სწორია! მაგრამ „ნატოს“ მიზნებზე ახლა არ შევჩერდები, შორს წაგვიყვანს.

რა არის საჭირო „ნატოს“ „ღია“ კარებში შესასვლელად, რა პირობებს აყენებს ის?

პირველი, წესდების მიხედვით ახალი წევრის მიღებას მხარი ერთხმად უნდა დაუჭიროს „ნატოს“ წევრმა 28-ვე სახელმწიფომ; და მეორე, „ნატოში“ მისაღებ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს ტერიტორიული (სასაზღვრო) პრობლემები. ეს ორი პირობაა უმთავრესი, თუმცა, ასახელებენ კიდევ ერთს – დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობის აუცილებლობასაც. ვერ გეტყვით, რამდენად გულწრფელად, მაგრამ ამჟამინდელი ხელისუფლება სწორედ ამით, ქვეყანაში დემოკრატიის არარსებობით ხსნის ჩვენს „ნატოში“ აქამდე არგაწევრებას და პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამს ამ მიმართულებით, რაც, ბუნებრივია, ერთობ მოსაწონია იმისდამიუხედავად, დავუახლოვდებით ამით „ნატოს“, თუ – არა.

„ნატოსთან“ დასაახლოებლად და მისი გულის მოსაგებად არის კიდევ სხვა გზა, დემოკრატიულ ინსტიტუტებზე უფრო მნიშვნელოვანი – „ნატოს“ პოლიტიკის უსიტყვო მხარდაჭერა და მის „სამშვიდობო“ ოპერაციებში აქტიური მონაწილეობა, რასაც ფრიადზე ასრულებდა და ასრულებს ორივე ხელისუფლება აგერ უკვე ცხრა წელია.

ავღანეთის ოპერაციებში მონაწილეობას ამჟამინდელი ხელისუფლება ნამდვილი მიზეზებით – აღებული ვალდებულებებით, „ნატოს“ წინაშე თავის გამოჩენით და, აქედან გამომდინარე, გაწევრების დაჩქარების სურვილით რომ ხსნიდეს, ყველასთვის ყველაფერი გასაგები იქნებოდა, მაგრამ არა, ერთის მხრივ, გვეუბნებიან, რომ ეს ხდება საქართველოს ჯარის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით, რაც შორს არაა ჭეშმარიტებისგან, და მეორეს მხრივ, გვარწმუნებენ, რომ „ნატოს“ მისიაში აქტიური ჩართვა, თურმე, „ჩვენი შვილების ნათელ მომავალზე ზრუნვითაც“ ყოფილა განპირობებული და იგი „ღირსების დაცვად“, „საამაყოდაც“ (თავდაცვის მინისტრის სიტყვებია) უნდა მიგვაჩნდეს.

უკაცრავად, მაგრამ დიდი პატივისცემის და რიდის მიუხედავად, სათქმელი ადრე თუ გვიან უნდა ითქვას. რა გამოდის, **ჩვენი შვილების მომავალი ნათელი იქნება, თუ ბნელი ავღანეთში წყდება(?!), და „ნაცების“ გამოისობით საქართველოში დაკარგული ღირსება ავღანეთშია საძებნელი?!** და კიდევ, ჩვენ ვართ ასეთი მიხვედრილები და სხვა, „ნატოს“ წევრი ქვეყნებიდანაც კი, არავინ არ ფიქრობს ჩვენსავით სახელმწიფოებრივად(!) არც თავდაცვისუნარიანობაზე, არც შვილებზე და არც – ღირსებაზე?! თავდაცვისუნარიანობა და ღირსებაც ავღანელების ხოცვით უნდა ავიმაღლოთ?! დაგვიშავეს მათ ჩვენ რამე, თავს დაგვესხნენ თუ ტერორისტული აქტი მოგვიწყვეს? ახლა, 2013 წელს ხომ უკვე კარგა ხნის გარკვეულია, რომ არც ერაყს მიუძღვოდა ბრალი ქიმიური, ბაქტერიოლოგიური თუ ბირთვული იარაღის წარმოებაში (რასაც მას აბრალებდა „ნატო“, რათა იქ შეჭრა გაემართლებინა) და არც – ავღანეთს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებში (რამდენ პროცენტსაც სჯეროდა ამერიკის ოფიციალური ვერსიის 11 წლის წინათ, ზუსტად იმდენს აღარ სჯერა მისი დღეს!). იქნებ ჰუმანური სურვილები გვამოძრავებს და ამერიკელებსაც ამიტომ ვეხმარებით „დემოკრატიის“ დამყარებაში? კი მაგრამ, **თავად ავღანელებს არ უნდა შევეკითხოთ – აწყობთ თუ არა ათიათასობით დახოცილი თანამემამულის სისხლის ფასად დამყარებული „დასავლური დემოკრატია“?!**

ისე, თუკი მოვლენებს „ნატოს“ პოზიციებიდან მივუდგებით, მაშინ სხვაგვარი დასკვნაც გაკეთდება: რას ჰქვია რომ აცხადებენ, „არ გვინდა ასეთი დემოკრატია“, „ჩვენი დიქტატურა გვირჩევნიაო“! რა იციან ავღანელებმა, ერაყელებმა, სირიელებმა, ლიბიელებმა ...და, თუნდაც, ქართველებმა რა უნდათ. ეს „ნატომ“ იცის, თუ ვის რა უნდა მსოფლიოში, როგორი წყობა და როგორი პრეზიდენტ-მთავრობა სჭირდება. ამიტომაც, ყველა გაგებით უნდა მოეკიდოს (ვალდებულია!) ანალოგიურ „სამშვიდობო“ მისიებს, „ხავერდოვან“, „ფერად-ფერად“ რევოლუციებს და „არაბულ გაზაფხულებს“, მშვიდობა-დემოკრატიის დასამყარებლად თავიც უნდა დადონ, ოჯახის რამდენიმე წევრიც გაიმეტონ და პატარა წამებასაც გაუძლონ ციხეებში. აბა, ჯაბა იოსელიანის თქმის არ იყოს – „დემოკრატია მართლა ლობიოს ჭამა ხომ არ გგონიათ თქვენ“?!

რაც შეეხება ვალდებულებებს, ბოლოს და ბოლოს, გვეტყვის ვინმე, რა ვალდებულებები გვაქვს აღებული? ვითომ იმაზე მეტი, ვიდრე თავად „ნატოს“ წევრ სახელმწიფოებს?! ეს ხომ წარმოუდგენელია! „ნატოს“ წევრებს(!) გამოჰყავთ თავიანთი კონტინგენტი ავღანეთიდან, ბევრმა კარგა ხანია გაიყვანა და ბევრიც მხოლოდ სიმბოლურად მონაწილეობს (მაგ., „ნატოს“ არაწევრ აზერბაიჯანს მხოლოდ 90 სამხედრო ჰყავს გაგზავნილი და ისიც არასაბრძოლო ოპერაციებისთვის), ჩვენ კი ვიძლევით პირობას, რომ კონტინგენტს გავზრდით და „2014 წლის შემდეგაც იქ დავრჩებით“! **ნებაყოფლობით ომში ჩაბმას და ჩვენი შვილების ცხრა მთას იქით საომრად გაგზავნას ხალხის თანხმობა არ სჭირდება?!** ავღანეთში ჩვენი სამხედროების გაგზავნას ხომ საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ერთი მეხუთედი, 21 % უჭერს მხარს! ეს, პრეზიდენტის ან რომელიმე პარტიის სურვილზეა დამოკიდებული?! მაშინ, **პირველებმა იმათ გაუშვან შვილები საომრად, ვინც ასეთ ომებში მონაწილეობას ემხრობა!**

თუ, დავუშვათ და, ისე გვაქვს ყულფში(!) თავი გაყოფილი, რომ სხვა გამოსავალი არა გვაქვს, მაშინ იმის მოთხოვნა, რომ ჩვენი ჯარისკაცების სისხლი, დაღუპულების მაინც, ამერიკელების (თეთრკანიანების, მექსიკელების, ზანგების) სისხლის თანაბრად დაფასდეს, უტაქტობაში ჩამოგვერთმევა?! თუ, მუქთა საზარბაზნე ხორცი ურჩევნია ამერიკას და ჩვენც დიდად არ გვეწყინება ჩვენი ბიჭები?! ფაქტია, ერაყიდან დაწყებული, აშკარა დისკრიმინაციას აქვს ადგილი – ავღანეთში მეომარი ყველა სახელმწიფოს სამხედრო მოსამსახურეს, განსაკუთრებით კი, დაღუპულის ოჯახს(!), გაცილებით მეტს უხდიან, ვიდრე – ჩვენთან. **მარტო გერმანია-ამერიკის კლინიკებში უფასო მკურნალობა, კარგად მორგებული პროთეზები და მიზერული პენსია – ვერაფერი შეღავათია დაინვალიდებული ჯარისკაცის ოჯახისთვის.**

დავიჯერო, ვერც ახალი ხელისუფლება ვერ ხედავს, რომ ჩვენ თავის მოქაჩლებას ცარიელი სიტყვიერი შექების მეტი არაფერი არ მოაქვს? **თავის მოქაჩლებაა, აბა რაა, როცა ჯერ „მაპ“-მიუღებელი(!) ქვეყანა არა მარტო „ნატოს“ წევრ(!) ქვეყნებს ვაჭარბებთ ჩვენი კონტინგენტით (მოსახლეობაზე გადაანგარიშებით), არამედ თვით ამერიკასაც!**

იხ. 4 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

ფარმაცევტულ ბაზარზე ახალი ინკოგნიტო კომპანია გამოჩნდა

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო იმ კომპანიის სახელწოდებას, რომელიც ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე შეესაძლოა გამოჩნდეს, არ აკონკრეტებს.

როგორც სერგეენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, რაც მთავარია, აქცენტი გაკეთდება იმაზე, რომ ახალი კომპანიის გამოჩენით ძველი მოთამაშეების დათრგუნვა არ მოხდეს.

– არაერთხელ გვაქვს დეკლარირებული, რომ კერძო ბიზნესის განვითარებას ხელი უნდა შევუწყოთ. კონკურენცია ყოველთვის კარგია, იმდენად, რამდენადაც მედიკამენტების ღირებულება ზოგადად ჯანდაცვის დანახარჯების ძალიან მაღალ, 60%-ს შეადგენს, რითაც ჩვენ ევროპაში პირველი ადგილი, მსოფლიოში კი ერთ-ერთი პირველი ადგილი გვიჭირავს. თავისთავად ცხადია, რომ უნდა მივიღოთ ზომები, რომ ეს პარიტეტი დავიდეს ოპტიმუმამდე. რა თქმა უნდა, ჩვენ ვზრუნავთ ამაზე და რამდენიმე მიმართულებით გვაქვს მოლაპარაკება, მაგრამ რადგან მოლაპარაკებების სტადია ჯერ კიდევ არ დასრულებულა, კომპანიისა და ვადების დასახელებისგან თავს შევიკავებ. თავისთავად ცხადია, რომ კონკურენცია კერძო ბაზარზე არ უნდა იყოს დისკრიმინაციული და ახალმა მოთამაშემ არ უნდა გამოიწვიოს ძველი მოთამაშეების დათრგუნვა, – აღნიშნა დავით სერგეენკომ.

ტყიბულში მაღაროელები გაიფიცნენ

ტყიბულში ძიძიგურის სახელობის მაღაროს 130-მდე თანამშრომელი გაიფიცა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ისინი შემცირებული ხელფასების 50%-ით გაზრდას, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და სამსახურიდან გათავისუფლებული მაღაროელების აღდგენას ითხოვენ.

ამასთან, გაფიცულების თქმით, მათ ადმინისტრაციამ განუცხადა, რომ თუ ისინი მაღაროში სამუშაოდ არ ჩავლენ, სამსახურიდან გათავისუფლდებიან. ამ დროისათვის გაფიცულები ძიძიგურის სახელობის მაღაროსთან არიან შეკრებილი.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სცადეთ, „ნატოს“ მომხრეებო, დაგვარწმუნეთ!

ჩვენ, „ნატო“ და რუსეთი

(მესამე გვერდიდან) ახლა გადავიდეთ თავად „ნატოს“ პირობებზე და ვნახოთ ჩვენი გაწევრება ახლო მომავლის საქმეა, შორეული პერსპექტივა თუ – უტოპია. როგორც ზემოთ აღვნიშნე, „ნატოს“ ხიბლი ისაა, რომ იგი იქნება ჩვენი უსაფრთხოების გარანტი! ჰოდა, აბა, რომელი ჭკუათმყოფელი წავა საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების წინააღმდეგ, სულელის და მოღალატის გარდა, მაგრამ, „იქნება“ ნიშნავს მომავალს, ანუ ჯერ(!) „ნატოში“ შესვლაა აუცილებელი, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, თუ როგორ დაგვიცავს იგი, „ნატოში“ შესვლამდე თუ დაგვემუქრა საფრთხე – ისე, როგორც 2008-ში?!

„ნატოში“ რომ მიგვიღონ ჩვენი დღევანდელი ტერიტორიული პრობლემებით და, ლამის, საომარი მდგომარეობით რუსეთთან, „ნატომ“ უნდა დაარღვიოს ან შეცვალოს თავისი წესდება, ან ჩვენ უნდა ვაღიაროთ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა – უარი ვთქვათ ამ ტერიტორიებზე. ამ, პრაქტიკულად, გადაულახავ ბარიერს ჩვენი ხელისუფლება (ძველიც და ახალიც) და პრონატოელი პოლიტოლოგები არც ახსენებენ, შეგნებულად, ცხადია! ეს ოპტიმისტები „ნატოს“ წესდებას და აფხაზეთ-სამაჩაბლოს პრობლემას ისე უვლიან გვერდს, თითქოს, მთავარი ეს არ იყოს! ისინი რუსეთის ფაქტორსაც არ ახსენებენ, თუმცა, კარგად მოეხსენებათ, რომ რუსეთის ზეგავლენით „ნატოს“ერთი წევრი სახელმწიფოც რომ წავიდეს წინააღმდეგი, რაც არ უნდა დემოკრატია გვქონდეს აშენებული, „ნატოში“ არ მიგვიღებენ. რა უნდა ვიფიქროთ? გამორიცხულია, რომ „ნატოს“ 28 სახელმწიფო წესდების შეცვლას დათანხმდეს, მაშასადამე, რჩება ერთადერთი – ქართულ მიწებზე უარის თქმა! **თუკი ისე გამოშტერდება ქართველი ერი, რომ ამის უფლებას მისცემს ხელისუფლებას, მაშინ, გამოდის, უკვე გადავჯიშებულვართ და ისაა!**

არის კიდევ ერთი, მე ვიტყოდი, გადაუჭრელი პრობლემა – ესაა რუსეთის ნება! რომც დაარღვიოს „ნატომ“ წესდება და ჩვენი მიღება ხმების უმრავლესობით გადაწყვიტოს (რითიც განეიტრალდება რუსეთის ხელისშემშლელი ზეგავლენა ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოზე), და ჩვენც ვენდოთ „ნატოს“ მომხრეთა დაპირებებს, რომ გაწევრების შემდეგ უფრო გაადვილდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა (ანუ საბოლოოდ გამოვთაყვანდეთ!), **რუსეთი მაინც არ დაუშვებს საქართველოში „ნატოს“ რაკეტების განლაგებას, მასზე ფიქრსაც კი!** საკუთარი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, იგი ვალდებული(!) იქნება ჩვენი დანარჩენი ტერიტორიის ოკუპაციაც მოახდინოს, რასაც „ნატოს“ მხრიდან, ცხადია, არავითარი ძალისმიერი რეაგირება არ მოყვება, **რუსეთთან ომის დაწყებას, სულ ცოტა, სააკაშვილის „ჭკუა“ სჭირდება და „გამბედაობაც“!**

აქვე, ისიც მინდა აღვნიშნო აუცილებლად, რომ რუსეთის ნების გარეშე არათუ „ნატოში“ შესვლაზე, საქართველოს გამთლიანებაზეც არ შეიძლება ოცნება. ჩემი ასეთი კატეგორიული მოსაზრება ადვილად გასაგები რომ გახდეს, პირდაპირ იდეალურ ვარიანტს განვიხილავ და ყველა დარწმუნება მის სისწორეში. 1 ოქტომბერს თითქმის სასწაული მოხდა – უსისხლოდ(!) გავიმარჯვეთ, სააკაშვილი და მისი კაცთმოძულე ნაცბანდა სანახევროდ(!) გავისტუმრეთ. ახლო მომავალში არც მეორე სასწაულია გამორიცხული და „რეკომენდაციებით“(!) თუ არ შეგვიშალეს ხელი, შესაძლოა, როგორც ივანიშვილმა თქვა, ევროპაც გავაკვირვოთ ჩვენი ჭეშმარიტი სამართლით და ეკონომიკაში მიღწევებით. ერთი სიტყვით, შეიძლება, ისეთი სანატრელი ცხოვრება დაგვიდგეს, რომ არა მარტო უცხოეთში გადახვწილი ქართველები დაგვიბრუნდნენ, არამედ ზურგშექცევით მდგარი აფხაზებიც (ოსები) შემობრუნდნენ ჩვენსკენ პირით და აფხაზების დიდმა უმრავლესობამ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება მოისურვოს. ეს ცოტა უტოპიურად შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ არც მთლად შეუძლებელია. უტოპიური იმათი იმედებია, ვინც ამ გზით გეგმავს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მოგახსენებთ, თუ რატომ ვფიქრობ ასე.

იმის მიუხედავად, რომ 250 ათასმა ქართველმა იძულებით დატოვა აფხაზეთი, აფხაზები მაინც უმცირესობაში არიან დღეს და, არაოფიციალური მონაცემებით, მათ სომხები სჭარბობენ. სომხების 90% კი, თუ 100%(!) არა, კატეგორიულად წინ აღუდგება აფხაზების სურვილს. აფხაზეთის სომხობა, ვინც ე.წ. „ბაგრამიანის ბატალიონში“ გაერთიანებული სომხეთის(!) სამფეროვანი დროშით ხელში გამორჩეული სისასტიკით იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ 20 წლის წინათ, და მათი შთამომავლობა, ქართველებისგან აბსოლუტურად გაუცხოებული(!), დღეს ქართველებს ჩაეხუტება?! გამორიცხულია! (ოფიციალური ერევნის მხრიდან „ბაგრამიანელების“ მხარდაჭერას და ქართველების წინააღმდეგ ბრძოლის მოწონებას, დროშის გარდა, ადასტურებს ამ კრიმინალური ბატალიონის სამხედრო ხელმძღვანელობის მიწვევა ერევანში 1997 წელს გენერალ ბაგრამიანის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო ცერემონიალზე!)! საქართველოსთან შემოერთების წინააღმდეგნი იქნებიან რუსებიც და ცხოვრებააწყობილი აფხაზების 5-10 %, აგრეთვე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია(!), 30-35 წლამდე ასაკის ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა, ანუ ისინი, ვინც 90-იანი წლების დასაწყისში ბავშვი იყო ან შემდეგ დაიბადა. მათ არც ქართველი მეგობრები ჰყავთ, არც ქართული იციან და ისინი, მშობლების მიერ სისხლით მოპოვებულ დამოუკიდებლობაზე ცოცხალი თავით უარს არ იტყვიან. ჩვენდა სამწუხაროდ, მომენტი გაშვებულია ხელიდან, დრომ თავისი საქმე, ჩვენთვის დამღუპველი, უკვე გააკეთა ამ 24 წლის მანძილზე, დაწყებული 1989 წლიდან, როდესაც ვოვა ვეკუა მოკლეს აფხაზებმა სოხუმში!

ასე რომ, საქართველოში დაბრუნების მომხრე აფხაზებმა დიდი-დიდი 60-65 % შეადგინოს, რაც საერთო მოსახლეობის, დაახლოებით, ერთი მესამედი გამოვა მხოლოდ(!), და უდავოა, რეფერენდუმში, რომლის მოწყობაც ასეთ შემთხვევებში აუცილებელია, მოსახლეობის ეს კატეგორია ვერაფრით ვერ გაიმარჯვებს. კრემლს თითის განძრევაც არ დასჭირდება, არა თუ თითის დაქნევა!

რაც არ უნდა ბოდიშები ვუხადოთ აფხაზებს და ოსებს, რაც არ უნდა ფართო იურიდიული უფლებები შევპირდეთ, რაც არ უნდა ოქროს მთები დავანახვოთ, მოხიბვლით კი მოვხიბლავთ მათ, მაგრამ ე.წ. სამხრეთ ოსეთის და, განსაკუთრებით, აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დასაბრუნებლად ეს არამც და არამც საკმარისი არ იქნება, **ჰუმანურ-ეკონომიკურ მიმზიდველობაზე დამყარებულ იმედებს ახდენა არ უწერია. რუსეთის ნების გარეშე, დამოუკიდებლად, საქართველოს გამთლიანებას ვერ მივაღწევთ!** ამის გზები, უბრალოდ, არ არსებობს! ამიტომ, **რუსეთის გადამწყვეტი(!) როლის იგნორირებით, მხოლოდ „ნატოს“ იმედზე გაცემული დაპირებები, დაპირებებადვე დარჩება იმისდა მიუხედავად, თუ ვინ გასცემს მათ – ძველი თუ ახალი ხელისუფლება!**

აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან საბოლოო დამშვიდობება არ არის „ნატოში“ გაწევრების ერთადერთი და მთავარი მინუსი, უმთავრესი სხვაა! დავუშვათ და, არც არსებობს აფხაზეთ-სამაჩაბლოს პრობლემა, ანდა, დავუშვათ, ერთ მშვენიერ დღეს კრემლში კარგ ხასიათზე გაეღვიძათ და ორივე სეპარატისტული რეგიონი დაგვიბრუნეს, „ნატოში“ ჩვენს გაწევრებაზე „Добро!“ თქვეს, „თავში ქვა გიხლიათო“ დააყოლეს და რუსეთ-საქართველოს საზღვარიც ჩაკეტეს – თქვენ – თქვენთვის, ჩვენ – ჩვენთვისო! და ჩვენც, მეორე დღესვე მიგვიპატიჟეს ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში. ჰოი, სიხარულო, აგვიხდა ოცნება, დაცული ვართ, ხელს ვერ დაგვაკარებს ვერავინ!

მერე, მერე რა გველის?

მერე კი, ასე მესახება მე მოვლენების განვითარება: „ნატოს“ ქოლგის ქვეშ მყოფ „დამოუკიდებელ“ საქართველოში განლაგდება „ნატოს“ ბაზები, მაგრამ „ნატოში“ შემავალი სახელმწიფოებიდან ძალიან ცოტა ვინმე თუ ჩამოსახლდება საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად. აი, თურქეთიდან კი იცოცხლეთ, შემოვლენ და შემოვლენ ოჯახებიანად! რუსეთის ბაზარს მოკლებული საქართველოს ეკონომიკა თითქმის ისეთივე ცუდ დღეში აღმოჩნდება, როგორშიც დღეს ვიმყოფებით. ეს კიდევ უფრო გაუადვილებს თურქებს თავიანთი პროდუქციის შემოტანას, გაჭირვებული ხალხისგან ყველაფრის(!) ჩალის ფასად შეძენას, ეკლესიებიდან მეჩეთებში მშიერი მრევლის გადაბირებას (იეღოველები და სხვა სექტანტები თუ ახერხებენ ამას, არც მუსლიმანებს გაუჭირდებათ). თურქები რამდენიმე წელიწადში მთლიანად აითვისებენ აჭარას (ნაწილობრივ ხომ ისედაც ათვისებული აქვთ!), მერე კი, ასე ორ-სამ თაობაში – დანარჩენ საქართველოს! დიდი ხნის წინანდელ ნატვრას სულ უმტკივნეულოდ, თითის გაუნძრევლად აისრულებენ! განა საჭიროა იმის ახსნა, თუ რა დღეში ჩავარდება ჩვენი ენა, კულტურა, მართლმადიდებლობა? ვფიქრობ, ნებისმიერს, ვისაც საშუალო სკოლა მაინც დაუმთავრებია, არ გაუძნელდება ჩვენი „ნათელი მომავლის“ დანახვა! **ამერიკა-„ნატო“ და მაჰმადიანური თურქეთი ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტები არ გახდებიან. ჩვენი კულტურა, ჩვენი წინაპრების მიერ, ავად თუ კარგად, სისხლის ფასად დღემდე მოტანილი, აუცილებლად ჩაკვდება, და ქართველის სახსენებელიც გაქრება, ისტორიას ჩაბარდება!**

აჰ, ეროვნული ხელისუფლების ხელში ეს არ მოხდება, ამას არ დავუშვებთ, – იტყვის ზოგიერთი. ნურავის ნუ ექნება ამის იმედი! ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შეძლებს „ნატოსთვის“ და მისი ჭეშმარიტად სტრატეგიული პარტნიორის თურქეთისთვის წინააღმდეგობის გაწევას. თუკი, საქართველოს ხელისუფლება მაინც წინ აღუდგება გლობალიზაციას და გათქვეფას თურქებში, ამერიკელებში და სხვებში და სხვებში (ახლაა ათასი ჯურის ხალხის შემოსევა და მერე ნაკლები იქნება?!), და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას შეეცდება, ამას უეჭველად მოჰყვება ეროვნულობის მოწინააღმდეგე გლობალისტლიბერასტების კამპანია – ჩვენი დადანაშაულება დისკრიმინაცია-რასიზმ-ქსენოფობია-ჰომოფობიაში. ეროვნულ ხელისუფლებას ამ გზით თუ იმ გზით – სისხლიანი თუ უსისხლო, აშკარა თუ ფარული, ისევე მოიშორებენ, როგორც ბევრი მოუშორებიათ დემოკრატიის დამყარების, ტერორიზმთან ბრძოლის თუ ადამიანის უფლებათა დაცვის საბაბით.

ორიოდ სიტყვა საქართველოს ნეიტრალობაზეც უნდა ითქვას. ნეიტრალიტეტს რა სჯობია, მაგრამ მხოლოდ გულუბრყვილოებს სჯერათ, რომ ეს, პრაქტიკულად, შესაძლებელია. ჩემი აზრით, ნეიტრალიტეტი სრული უტოპიაა! საქართველოსთვის, ნებისმიერი პატარა სახელმწიფოსთვის, რომელსაც სამი(!) ყოფილი იმპერია ჰყავს მეზობლად, ნეიტრალიტეტი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ამ მეზობლების კეთილი ნების, ურთიერთ-შეთანხმების შემთხვევაში, რაც, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების გათვალისწინებით, რუსეთს, თურქეთსა და ირანს შორის ყოვლად წარმოუდგენელია!

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების და ფიზიკური გამძლეობის – გადარჩენის ქვაკუთხედი იყო და არის ენა და რელიგია. ამის საუკეთესო მაგალითი ათას ქარტეხილში გამოვლილი ებრაელი ერია, რომელმაც, მთელ მსოფლიოში გაბნეულმა, სწორედ რელიგიის წყალობით – იუდაიზმით შეინარჩუნა თავისი იდენტურობა – ენა და ეროვნული ფასეულობები თითქმის სამი ათასი(!) წლის მანძილზე! შესძლო ის, რაც ვერავინ მთელ მსოფლიოში, მათ შორის ჩვენც, როცა თურქების მიერ მიტაცებულ ქართულ მიწაზე მცხოვრებ ქართველებს ოსმალებმა იძულებით შეაცვლევინეს სარწმუნოება, რასაც მოჰყვა ენის გადავიწყება და სრული გათურქება! აქედან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი აღარ უნდა იყოს ჩვენი მთავარი კურსი – ღერძული(!) ხაზი აუცილებლად მართლმადიდებლობაზე უნდა გადიოდეს!

თუკი, ოპონენტები დაგვარწმუნებენ (ან შეეცდებიან მაინც), რომ „ნატოს“ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ, რომ მასში გაწევრება ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲖᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ-ᲡᲐᲛᲐᲩᲐᲑᲚᲝᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ „ᲜᲐᲢᲝᲨᲘ“ ᲧᲝᲤᲜᲘᲗ ᲣᲓᲐᲕᲝᲓ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲔᲜᲐᲡ, ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡ, ᲐᲠᲪ ᲡᲐᲛᲘᲖᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲫᲘᲪᲔᲕᲗ მეზობლებისთვის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ იმასაც დაასაბუთებენ, რომ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲣᲠ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲗᲐᲜ ᲩᲐᲮᲣᲢᲔᲑᲐ ᲡᲯᲝᲑᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲐᲡ, მე არა მხოლოდ უზომოდ მადლობელი დავრჩები მათი, არამედ ცას ვეწევი სიხარულით!

სცადეთ, „ნატოს“ მომხრეებო, დაგვარწმუნეთ!

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲚᲔᲭᲐᲕᲐ,

10 მარტი, 2013

P. S. სამბარეო პოლიტიკაზე საუბრისას ხელისუფლებაში მყოფმა პოლიტიკოსებმა, ცხადია, დიპლომატიურ, ორაზროვან ენაზე უნდა ილაპარაკონ ხშირად, მაგრამ სხვა დანარჩენმა – მეცნიერებმა, პოლიტოლოგებმა, ჟურნალისტებმა და სხვებმა სიმართლე უნდა თქვან გასაგებ ენაზე, რათა, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ყოველდღიური ტვინის გამორეცხვების რეჟიმში მყოფ ხალხს სწორი არჩევანის გაკეთება გაუადვილდეს!

Ო. Ლ.

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲓᲘᲗ

ᲒᲐᲔᲠᲝᲡ განვითარების ფონდმა „ადამიანთა განვითარების ინდექსი“ გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, საქართველო მაღალი განვითარების მქონე ქვეყნებს შორის მოხვდა. ინდექსი წარმოადგენს ინდიკატორს, რომელიც აერთიანებს განვითარების სამ ძირითად საზომს – სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას, განათლების დონესა და შემოსავალს ერთ სულ მოსახლეზე.

გაეროს განვითარების ფონდის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოს ქვეყნებმა დაიჩქარეს განვითარების ტემპები განათლების, ჯანდაცვისა და შემოსავლების მაჩვენებელში ისე, რომ არც ერთ ქვეყანაში, 2000 წლის მაჩვენებელთან შედარებით, ადამიანის განვითარების ინდექსი არ შემცირებულა.

„ადამიანთა განვითარების ინდექსში“ საქართველო მაღალი განვითარების ქვეყნებს შორის მოხვდა. მისი მაჩვენებელი 0,745-ით განისაზღვრა და 187 ქვეყანას შორის72-ე საფეხურზე აღმოჩნდა. წინა რეიტინგთან შედარებით, საქართველო 3 საფეხურით დაწინაურდა.

„ადამიანთა განვითარების ინდექსში“ პირველ სამ ადგილზე არიან ნორვეგია, ავსტრალია და აშშ. რეიტინგის ბოლო საფეხურს ადამიანთა ყველაზე დაბალი განვითარებით ნიგერია იკავებს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲘ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲘ – ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ

ᲐᲛ წᲔᲠᲘᲚᲘᲡ ძველი ანეკდოტით დავიწყებ: ერთი მამაკაცი ეტრაბახება მეორეს, მე და ჩემმა მეუღლემ ფუნქციები გადავინაწილეთ. მე გლობალურ საკითხებზე ვზრუნავ, მეუღლე – წვრილმანებზეო. მაგალითად, მე ვფიქრობ გახდება თუ არა სომალი გაეროს წევრი, ან გაიყვანენ თუ არა ღაზას სექტორიდან ჯარებს. ჩემი მეუღლე კი ფიქრობს თუ რა ვჭამოთ სადილზე, რა ჩავაცვათ ბავშვს დ.ა.შ.

როდესაც მედიაკავშირ „ობიექტივის“ სტუდიაში წამყვანმა ზაზა კვიცარიძემ დამისვა შეკითხვა საქართველოში რეფორმების მიმდინარეობის შესახებ, მაშინვე ეს ანეკდოტი გამახსენდა.

ერთი შეხედვით ასეც არის და თუ რატომ ჰგავს ჩვენი დღევანდელი ყოფა ამ ანეკდოტის სიტუაციას, რამდენიმე მაგალითით გაჩვენებთ.

მაგალითი პირველი:

გასული კვირის განმავლობაში ხელისუფლება, ოპოზიცია, მედია, ე.წ. ექსპერტები და ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, „განიცდიდა“ და დიდის რუდუნებით ელოდებოდა ვენეციის კომისიის დასკვნას იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების თაობაზე. ისეთი რუდუნებით, რომ მთელი საინფორმაციო სივრცე კომისიის პრეზიდენტისა თუ წევრების ნებისმიერ ჩახველებას სხვადასხვა ასპექტითა და ინტერპრეტაციით აშუქებდა. კეთდებოდა დასკვნები და შეფასებები, თუ როგორ გახედა ბუკიკიომ თანაშემწე ქალს და მიდიოდა დაძაბული მსჯელობა იმის შესახებ, ეს გახედვა ხელისუფლების წისქვილზე უშვებდა წყალს თუ ოპოზიციის მხარდაჭერას ნიშნავდა.

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების გარეშე პირდაპირ ვიტყვი, რომ საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს საერთოდ ფეხებზე ჰკიდია ვენეციის, ოსლოს, ნიჟნი ტაგილისა და თქვენ წარმოიდგინეთ ანტანანარივუს კომისიების დასკვნები. აბსოლუტურად ყველა დასკვნა, როგორიც არ უნდა იყოს ის და რა საკითხსაც არ უნდა ეხებოდეს.

ხალხისთვის უფრო მნიშვნელოვანია ტარიფები, დასაქმება, პენსიები და, რაც მთავარია, სამართლიანობა. სამართლიანობა არა იმ დოზით, რომელიც მძარცველი და მკვლელი ყოფილი მაღალჩინოსნის „შეშინებით“ იწყება და მის მიერ მოპარულ თანხასთან შედარებით სასაცილო გირაოს გადახდით მთავრდება, არამედ იმ სამართლიანობით, რომელიც პირველ რიგში სხვადასხვა ჯურის „კანტრალიორების“ ინსტიტუტის გაუქმების, ძველი ხელისუფლების მობრუნების მომლოდინე საშუალო რგოლის ჩინოვნიკების ალაგმვის და მოკლედ რომ ვთქვა, იმ პატარა ქართული ოცნების ასრულებას გულისხმობს, რომელსაც 1 ოქტომბერს მისცა ხმა.

ასე რომ, ვენეციის კომისიის დასკვნის ისეთი აჟიტირებული მოლოდინი, როგორიც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში იდგა და ამ დასკვნის კავშირი დღევანდელ რეალობასთან, უფლებას მაძლევს ერთი ძველი ანდაზა გავარემიქსო და შემდეგი ფორმულირება მივცე: **ვირო ნუ მოკვდები, ვენეციის კომისია მალე დასკვნას დადებსო.**

მაგალითი მეორე:

ამ მაგალითს ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ინფორმაციებით დავიწყებ:

პარლამენტის წევრთა პრემიები 2013 წლის 1 თებერვლამდე:

ორგანიზაციამ მხოლოდ იმ დეპუტატთა სია გამოაქვეყნა, რომელთაც ახალი მოწვევის პარლამენტში ყველაზე დიდი რაოდენობის პრემიები აიღეს.

„უსუფაშვილი დავითი – 9162 ლარი; დუმბაძე მურმანი – 8831 ლარი; კობახიძე მანანა – 8662 ლარი; აბაშიძე ზურაბი – 8589; ძიძიგური ზვიადი – 8562; ბარამიძე გიორგი – 8562; ჩიქოვანი ირაკლი – 8495; ონოფრიშვილი დავითი – 7631; აბულაშვილი გიგლა – 7604; იმერლიშვილი ირინე – 7577; ბერძენიშვილი დავითი – 7531; ქუცნაშვილი ზაქარია – 7504; ხმალაძე ვახტანგი – 7502; დოლიძე ვიქტორი – 7389; ბესელია ეკა – 7362; ტრიპოლსკი ერეკლე-7362; ტყემალაძე ზურაბი – 7362; სანიკიძე გუბაზი – 7362 ლარი. თედო ჯაფარიძის პრემია კი – 7362 ლარით განისაზღვრა“. – აღნიშნულია ორგანიზაციის ოფიციალურ საიტზე.

პრემიერ-მინისტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ სახელმწიფო მინისტრებს და მთავრობის კანცელარიის უფროსს მაია ცქიტიშვილს თებერვლის პრემიის სახით 4335 ლარი გადაეცათ.

შეგახსნებთ, რომ, როგორც „ლიბერალი“ წერდა, პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 1 ნოემბრის ბრძანებით, მხოლოდ დეკემბერში მთავრობის კანცელარიის უფროსმა 12 ათას 390 ლარი მიიღო. დეკემბრის თვეში ჯამში 20 დღეში მთავრობის კანცელარიაში 340 ათას ლარზე მეტი პრემია გამოწერეს. როგორც მაშინ ცქიტიშვილმა განმარტა, კანცელარიის თანამშრომლებს დაგვიანებული სახელფასო დანამატი ჩაერიცხათ, შესაბამისად მათ პრემია დეკემბერში რამდენჯერმე აიღეს (http://www.liberali.ge/ge/liberali/news/114254/)..

ნებისმიერი მეოთხეკლასელი ბავშვი, თუნდაც ქვეშმიწერით გაყოფის საშუალებით ძალიან მარტივად დაადგენს რომ **„პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 1 ნოემბრის ბრძანებით მხოლოდ დეკემბერში მთავრობის კანცელარიის უფროსმა 12 ათას 390 ლარი“, ანუ რიგითი პენსიონერის 99 თვის შემოსავალი მიიღო.**

ეს ინფორმაცია რომ ვნახე, ის ანეკდოტი გამახსენდა, სახინკლეში კაცი 99 ხინკალს რომ მოითხოვს, 100 არ მინდაო (ყველამ იცით როგორც მთავრდება ეს ანეკდოტი, უბრალოდ კორექტულობას გამოვიჩენ და არ დავწერ).

მე მგონი აქ ნებისმიერი კომენტარი, ანალიზი და რაღაც დასკვნების გაკეთება უადგილოა.

სიხალისისთვის კი სოციალურ ქსელ ფეისბუკზე გავრცელებულ ერთ სტატუსს მოვიყვან:

„იცემოდა პრემიები,
კვლავაც ბევრი გაიცემა.
ზოგს, პრემია კი არა და –
ეკუთვნოდა კაი ცემა!
მე, არ ვიცი, ეს პრემია –
რა ხილია, რა ქონია...
ის კი ვიცი, არცერთი რომ –
გალაკტიონს არ ჰქონია.

ძალიან საინტერესო იყო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას პასუხი ჟურნალისტის შეკითხვაზე: ყოფნის თუ არა 5000 ლარი. მან თავი „მოიქაჩლა“ და მოკრძალებულად განაცხადა: **– სამსულიან ოჯახს, ასე თუ ისე, გვყოფნის.**

მდაააა, ვერაფერს იტყვი.

ამ მაგალითის „დასკვნასაც“ ზემოთ მოყვანილი ანდაზის ოდნავ შეცვლილი რემიქსით დავდებ:

„პენსიონერო ნუ მოკვდები, სექტემბერში პენსია 150 ლარი გახდება“.

მაგალითი ძალიან ბევრია. შეიძლება ითქვას, განვლილი ხუთი თვის პირობაზე, საკმაოდ ბევრი და პრინციპში ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად იცით. იმ ანდაზის გადაკეთებაც ისეა შესაძლებელი, რომ ყველა პრობლემას მოერგოს. ამიტომ თავს აღარ შეგაწყენთ და მოკლედ ჩამოვთვლი გასულ კვირაში წამოტივტივებულ პრობლემებს.

ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲐᲛ უნივერსიტეტის და, საერთოდ, ქართველი ახალგაზრდების დამცველად ისეთი „დიდი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე“ მოგვევლინა, როგორიც კახა ბენდუქიძეა.

უბრალოდ ვერ მივცემ თავს უფლებას, არ მოგიტანოთ საქართველოს სოფლის მეურნეობაზე ბენდუქიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება:

„საქართველოში სოფლის მეურნეობა არაა კონკურენტუნარიანი, ამიტომ ფეხებზე დავიკიდოთ, თუ გადარჩენა უწერია თავისით გადარჩეს, თუ არა და დაიღუპოს, არაა პრობლემა... სოფელში მცხოვრები მამაკაცები, სხვაგან წავიდნენ შავ მუშებად, ქალები მეძავებად, არაა ეს ჩემი პრობლემა.

მეჩაიეობა და მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს ეკონომიკას დღემდე მძიმე ტვირთად აწევს, რადგან ეს დარგები საბჭოთა პერიოდში ხელოვნურად გაიბერა.

ჩვენ 700 ათასი გლეხური მეურნეობა გვაქვს. ყველას სესხი მივცეთ?

რაც უფრო ცოტა გლეხი გვეყოლება, მით უფრო ნაკლები თავის ტკივილი იქნება. (https://fbcdn-sphotos-c-a.akamaihd.net/hphotos-ash3/578020_1788480255970-34_1081777995_n.jpg)“.

ბუნებრივია, რომ სტუდენტების შეშფოთებას ნაციონალური მოძრაობა სათავისოდ გამოიყენებს და 19 აპრილს დაგეგმილ აქციაზე მათს მობილიზებას შეეცდება და ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი იმ მეხუთე კოლონას შეუერთდება, რომლებიც მყარად არიან ჩაბუდებულნი სამინისტროებში, დეპარტამენტებში, გამგეობებში, თუ სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. ეს კი, არა მგონია, რომ ქვეყანაში მიმდინარე დადებითი პროცესების განვითარებაზე უშვებდეს წყალს (ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად მუსირებს აზრი, რომ დღევანდელ ხელისუფლებას პიარი არაფრად არ უვარგა).

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲘ

ᲔᲡᲔᲪ საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. საკმაოდ სერიოზულ პრობლემას, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომელიც ოდნავ ზევით აღვნიშნე.

ახლა კი შემოგთავაზებთ სოციალურ ქსელ ფეისბუკზე გავრცელებულ სტატუსებს, რომლებიც საკმაოდ ზუსტად ეხმაურებიან წინა კვირაში წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებსაც ქვეყნისთვის უდაოდ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ.

„რამდენიმე მეგობრის სტატუსი წავიკითხე – რეგიონალური მედია გაცილებით მაღლა დგას ვიდრე ჩვენი „სვეტკი“ ჟურნალისტებიო... პროფესიონალიზმი არც ცენტრალური მედიის წარმომადგენლებს აკლიათ (ცხადია, ყველას არ ვგულისხმობ), უბრალოდ უმეტესობას შუბლის ძარღვი აქვს გაწყვეტილი რეგიონების ჟურნალისტებისგან განსხვავებით... იმათ თავის კუთხის პრობლემები მიაჩნიათ პრიორიტეტად, ამათ – ხელფასები და კეთილდღეობა...

გახსოვდეთ, სანამ თქვენ აგრარულ უნივერსიტეტს უკირკიტებთ, ჩოჩელს შია.

მანამ აგრარული უნივერსიტეტის თავზე თეთრი ბოლი არ ამოვა, ბენდუქიძეს მანამდე ვერ დაიჭერენ?

მოსკოვში ქართული კოკა-კოლას რეკლამა – არ გაგრილო ოკუპანტი!!!“

მოდით, ისევ იმ ანეკდოტს მივუბრუნდეთ, რომელიც წერილის დასაწყისში შემოგთავაზეთ და ვცადოთ გავარკვიოთ, თუ ვინ წყვეტს საქართველოში იმ „წვრილმან“ პრობლემებს, რომლებსაც ვენეციის კომისიის დასკვნებთან, IRI-ს კვლევებთან, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციასთან და სხვა მრავალ გლობალურ საკითხთან არანაირი შეხება არა აქვთ და პენსიებს, გადასახადებს, დასაქმებას და სხვა პრობლემებს ეხება.

სამწუხაროდ, მე ვერ დავადგინე. იქნებ, თქვენ სცადოთ და თუ გაიგებთ, ძალიან გთხოვთ, არ დამიმალოთ.

წერილს კი, ალბათ, იმ ერთადერთი სასიამოვნო ინფორმაციით დავამთავრებ, რომელიც ამ კვირაში მოხდა: **„თბილისის ზოოპარკში, თეთრმა ვეფხვმა – კამერონმა 1 ბოკვერი გააჩინა. ამ ინფორმაციას ზოოპარკის ადმინისტრაცია Facebook-ის საკუთარ გვერდზე ავრცელებს. ადმინისტრაციის განცხადებით, მშობიარობის პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება და იმედოვნებენ, რომ პატარა ბოკვერს მალე და-ძმებიც ეყოლება“.**

კარგად ბრძანდებოდეთ.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲩᲘᲫᲔ

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲕᲐᲖᲘᲐᲜᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲘ არტილერია 20 წლის იუბილეს აღნიშნავს. არტილერიის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ვაზიანში | საარტილერიო ბრიგადის ბაზაზე გაიმართა.

საზეიმო ღონისძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე, მისი მოადგილეები, ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე და პოლკოვნიკი ლაშა ბერიძე, ასევე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა ბროლაძე დაესწრნენ. თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა პირებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ არტილერისტთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

ქართველ არტილერისტებს პროფესიული დღე ოჯახის წევრებმა და ახლობლებმაც მიულოცეს. | საარტილერიო ბრიგადის ბაზის ტერიტორიაზე მათთვის „ღია კარის დღე“ მოეწყო. კონცერტის დასრულების შემდეგ, ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა ოჯახის წევრებს სამუშაო გარემო გააცნეს და ბაზაზე გამოფენილი საარტილერიო სისტემები და სადაზვერვო ხელსაწყოები დაათვალიერებინეს.

გუშინვე, არტილერიის დღისადმი მიძღვნილი ცერემონიალი ხონსა და ორფოლოში გაიმართა. || საარტილერიო ბრიგადის სამხედროებს პროფესიული დღე ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავმა“ მიულოცა. ღონისძიებას კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მსმენელებიც დაესწრნენ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გზა მარადისობისაკენ

ოთარ ჭილაძის დაბადების 80 წლისთავის გამო

დიდ ქართველ პოეტს, რომანისტს, დრამატურგს, ესეისტსა და პუბლიცისტს **ოთარ ჭილაძეს,** ვისი მიწიერი ცხოვრების გზაც 2009 წლის 1 ოქტომბერს შეწყდა, დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ქართულმა მწერლობამ დაკარგა კოლოსალური ნიჭის შემოქმედი, ვისაც მთელ მსოფლიოში კარგად იცნობენ და შესაფერ პატივსაც მიაგებენ.

ოთართან, ახალგაზრდობის წლებიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლომდე ახლო, მეგობრული ურთიერთობა მქონდა. 1959 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული „მატარებლები და მგზავრები“, რომელზეც „ლიტერატურულ გაზეთში“ მალევე გამოვაქვეყნე წერილი „პოეტის პირველი წიგნი“ და ხაზგასმულად აღვნიშნე, რომ ეს იყო ახალი სიტყვა ქართულ პოეზიაში.

სხვადასხვა დროს არაერთხელ დამიწერია ოთარ ჭილაძის გამორჩეულ მწერლურ ოსტატობაზე, მაგრამ შედარებით ვრცლად მის ლექსებსა და პოემებზე ჩემი აზრი გამოვთქვი მოზრდილ ესეში „წუთისოფლიდან მარადისობაში გადასული“, რომელიც ალმანახ „კრიტიკაში“ დაიბეჭდა 2010 წელს, როდესაც პოეტი, სამწუხაროდ, ერთი წლის გარდაცვლილი იყო.

ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება, ოთარ ჭილაძის პოეზიის ძალასა და მნიშვნელობაზე გავიხსენოთ ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის უთვალსაჩინოესი მკვლევარის, დახვეწილი გემოვნების კრიტიკოსის გურამ ასათიანის შეხედულება, ვინაც მუდამ გულისყურით ადევნებდა თვალს მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ცოცხალ პროცესებს:

„ოთარ ჭილაძე ქართულ ლირიკაში იმთავითვე სინამდვილის, პირველ რიგში, საკუთარი სულიერი სინამდვილის, უაღრესად გამახვილებული, დრამატული აღქმით გამოირჩა. სწორედ მან და მისი თაობის პოეტებმა შეძლეს ეგრძნობინებინათ ჩვენთვის იმ მწვავე კოლიზიების არსებობა, რომელნიც თანამედროვე ადამიანის ცნობიერებაშიც განაგრძობენ მოქმედებას.

ამასთან ერთად, მან, როგორც მძლავრი სულიერი პოტენციის პოეტმა, მოინდომა საკუთარ გრძნობათა დროისა და სივრცის დიდ ფართობზე პროეცირებაც.

ასეთი ნაბიჯი ქართული პოეზიის აქტუალური მოთხოვნილებით იყო ნაკარნახევი, საჭირო იყო დღევანდელობის, ყოველდღიურობის განცდაში მუდამმოქმედ ნიშან-თვისებათა განჭვრეტა, წამისა და მარადისობის შეუღლება“.

მრავალჯერ აღნიშნულა – ოთარ ჭილაძის პოეტური სამყარო არავისას გავს, ხელშესახებად კონკრეტული, საგნიერია, თითქმის ფიზიკურად აღსაქმელი. იქ არაფერია ზედმეტი, ისეთი, თვალში რომ შეგეჩხიროს, გაგაღიზიანოს – სიტყვები ზღვართან მიყვანილი სიზუსტით არის შერჩეული, პოეტი სამაგალითო მომჭირნეობას იჩენს, მაგრამ ამით მის დაუოკებელ ტემპერამენტს სიმძაფრე ოდნავადაც არ აკლდება. მიუხედავად ამისა, მაინც აწვალებს უკმარისობის თანდაყოლილი გრძნობა. მანგნასვამ, გაბრუებულ ვნებებზე ისე წერს, როგორც ცოცხალ არსებებზე და მიუგნებლის გამო წუხილს გამოთქვამს:

შესვეს და დათვრნენ და კვლავ ჰგონიათ,
რომ პირვანდელი ძალით ღელავენ,
მე კი ვერაფრით ვერ მიპოვნია
სიტყვა, რომელიც ახსნის ყველაფერს.
(„გაზაფხულის პირველი დღე“)

რაგინდ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, პრობაში, რომანებში მისი ხელწერა, პოეტიკა დიდად განსხვავებულია; იქ ოთარ ჭილაძე მეტ გასაქანს აძლევს თავის ისედაც ზღვარდაუდებელ ფანტაზიას და შედარებები, მეტაფორები, სიმბოლოები, შინაარსობრივად მონათესავე ეპითეტები – სინონიმები – დახვავებულია. თხრობას, მეტწილად შინაგანი მონოლოგის იერი აქვს, დიალოგები მინიმუმამდეა დაყვანილი, რაც მყარ თვისებად გვესახება.

ჭეშმარიტად მომნუსხველია ოთარ ჭილაძის ლექსების ექსპრესია. მის ლირიკულ წიაღსვლებს ცეცხლოვანება არასოდეს დაკლებია, ოდნავადაც არ მოდუნებულა, პოეტის ყოველი უჯრედი ზეადამიანური ჟინით ეწაფებოდა და იწოვდა სასწაულის ძალით გაჩენილ სიცოცხლეს, მისი თვალები ხარბად ნთქავდა ბუნების წიაღში უხვად დაღვრილ ფერებს, რათა მერე, ამდენის მხილველს, ყოველივე გულსა და ტვინში გადაეხარშა, მღელვარე სტრიქონებში ჩაწურულიყო. განურჩევლად, დარსა თუ ავდარში, ქერქდახეთქილ ხესავით იდგა აბობოქრებულ სტიქიათა პირისპირ და არასოდეს ცდილა, ერთხელ არჩეულ გზაზე, მეხთატეხისთვის ზურგი შეექცია, თავი აერიდებინა, იოლი გამოსავალი მოეძებნა. ამიტომაცაა, სიყალბის ნატამალსაც რომ ვერ იპოვით მის შეულამაზებლად, ჯიქურად ნათქვამში:

მე ყველა სიტყვის წარმოთქმა მტანჯავს,
თვალს ყოველ დილით ტკივილით ვახელ
და სანამ ქარი მისინჯავს მაჯას,
მიშვერილი მაქვს წვიმისთვის სახე.
(„რაც დასახარჯი არსებობს – ვხარჯავ“)

სატრფიალო ლირიკას ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში მეტად დიდი ადგილი უკავია და ამაზე მთელი წიგნის დაწერა შეიძლებოდა. აქ მხოლოდ ერთ ლექსს გავიხსენებდი. პოეტი თავის მტკიცე ხასიათში მუდამ ხაზს უსვამდა მამრულ საწყისს და ამის უპირველეს სიმბოლოდ „მზის ფრინველს“ – მამალს მიიჩნევდა. მოჩხუბარი, ნიადაგ მეტოქესთან შესაბმელად შემართული მამალი, როგორც აღვნიშნეთ, თავისი ხასიათის გამომხატველ, ტოტემურ ფრინველად ეგულება. მან იცის, რითი მოხიბლოს საყვარელი არსება და თავი რომ მოაწონოს, მოაგონებს საკუთარ მინიატიურულ, დაპატარავებულ ორეულს – „პირსახოცზე ამოქარგულ მამალს“. ამ დროს პოეტის კილო მოალერსე, უჩვეულოდ ხალისიანია, რადგან ყოველნაირად ცდილობს მარტოდ დარჩენილ, მოწყენილ ქალს მოძალებული ნაღველი, განშორების სევდა გაუქარვოს. ლექსი, თავიდან ბოლომდე, ერთ გაშლილ, ულამაზეს მეტაფორად წარმოგვიდგება და მისი დანაწევრება არ ღირს:

განა არ ყივის ჩემი მამალი,
შენს პირსახოცზე ამოქარგული
წითელი ძაფით?
როცა პირს იბან, ხომ ყივის ხოლმე?
ხომ გათამამებს სიცოცხლისათვის?
კისერგაწვდილი და აფოფრილი,
ხომ ემზადება საიერიშოდ,
რომ გაგიფანტოს უუმური სიზმრით
მოგვრილი სევდა?
ანდა ცალ ფეხზე ხომ ხტუნავს ხოლმე,
რომ გაგაცინოს და გაგახსენოს
ცხრა მთის გადაღმა თუნუქის ყუთში
ჯიუტი ხელით ჩასმული ცეცხლი,
ამოხტომას რომ ცდილობს ყუთიდან,
როგორც მამალი... ფეხებშეკრული.

ოთარ ჭილაძე ცხრა განსხვავებული ტონალობისა და მიზანდასახულობის, ამასთანავე, მისი ნიჭიერებისა და ოსტატობის შესაფერისი პოემის ავტორია. რამდენიმეზე ადრე გამოვთქვი ჩემი აზრი. ამჯერად ერთ მათგანზე („იტალიური რჩეული“) ვიტყვი ორიოდე სიტყვას. მეოცე საუკუნის სამოციანი წლების დამდეგს ოთარ ჭილაძემ ახალგაზრდა მწერალთა და ხელოვანთა მოზრდილ ჯგუფთან ერთად იტალიის ქალაქებში იმოგზაურა და ხსენებული პოემა მაშინდელ შთაბეჭდილებებზე დაიწერა. იგი, ძველი რომის ანალების საფუძვლიანი მცოდნე, ყველაფერს თანამედროვეობასთან, საკუთარი სამშობლოს ბედთან აკავშირებს და ერთ მთლიანობად, დროის უწყვეტ კავშირად წარმოგვიდგენს.

ეს იყო შემოქმედთა მრავალეროვანი ჯგუფის პირველი ასეთი გასვლა თავისუფალ სამყაროში და ოთარ ჭილაძის შთაგონებასაც სილაღე ეტყობა, რადგან დიდი ხნის ნატვრა აისრულა. დასაწყისი ორი სტროფის ამოწერაც კმარა, პოეტის სულისკვეთება და თვით პოემის ძალდაუტანებელი მდინარება, მცხუნვარე მზის სხივებში გახვეული სურათების თავბრუდამხვევი მონაცვლეობა ცოცხლად რომ შევიგრძნოთ:

საითაც გინდათ და როგორც გინდათ,
მე სტუმარი ვარ და სულ ერთია.
თანაც ყოველთვის ოცნებად ვთვლიდი
ამ ყოვლის მნახველ გზებზე ხეტიალს.

შუა მინდორში დგას სახედარი,
სამრეკლოს ჩრდილი და თივის ზვინი
და მიირწევა მტვერში მხედარი,
გაბრუებული სიცხით და ღვინით.

ოთარ ჭილაძე რომ ხშირად იყენებდა ფოლკლორულ მოტივებს და მითოსური აზროვნება, არქეტიპების სახეცვლილად, ოსტატურად გამოყენება ემარჯვებოდა, ამის დანახვა არ გახლავთ ძნელი, მისივე შემოქმედება ცხადყოფს.

ვიცოდით – ჩვენთვის ესოდენ საკრალურ არგონავტების მითზე იგი პოემის დაწერას აპირებდა, მაგრამ ხანგრძლივი ცდის მერე დარწმუნდა, რომ ჩანაფიქრს ეპიური ტილო უფრო შეეფერებოდა და წლების ტიტანური შრომის შემდგომ იშვა მისი პირველი რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, რომელმაც სხვადასხვა ენებზე თარგმნის მერე მსოფლიო სახელი მოუტანა.

ამ რომანის მრავალ უცილობელ ღირსებაზე არაფერს ვიტყვი, მხოლოდ ერთ ეპიზოდს, ნათელმხილველობით აღბეჭდილ მედეას სიზმარს გავიხსენებ, რომელშიც ზღვიდან ამოსული არგონავტების წინამძღოლი ჩამავალ მზეს ზურგით დაფარავს, იქაურობას დააბნელებს და აიეტის გრძნეულ ასულს შემპარავად, ნელ-ნელა დაეუფლება, მის გულსაც დაიპყრობს. აქ უკვე საცნაურია სიტყვის გასაოცარი ოსტატის მძლავრი სუნთქვა და წარმოსახვის უჩვეულო ძალა, მთელ წიგნს რომ ეფინება და ღვთაებრივი მადლით ავსებს.

ახალგაზრდა, ხელისუფლების მიერ „მუქთახორად“ შერაცხილი, ჯერ კიდევ დაუპატიმრებელი იოსებ ბროდსკი, როდესაც ოთარ ჭილაძის ლექსს თარგმნიდა, ერთი დღით ჩამოფრინდა თბილისში, რათა ძმები ჭილაძეები გაეცნო. მას ძალიან უნდოდა ეთარგმნა ოთარ ჭილაძის საუკეთესო და ურთულესი პოემა „სინათლის წელიწადი“, მწკარედსაც ითხოვდა, მაგრამ, მიზეზთა გამო, ეს განზრახვა შეუსრულებელი დარჩა.

ოთარ ჭილაძე განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა ბროდსკის დიდ, მრავალმხრივ ტალანტს; ასე რომ არ ყოფილიყო, თავისი ტრაგიკული ჟღერადობის თავისუფალ ლექსს არ წარუმძღვარებდა ნობელიანტის ორ ნაღვლიან სტრიქონს უძვირფასეს ადამიანთან განშორებაზე.

უმთავრესი მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში მაინც ეს არის – ოთარ ჭილაძეს ერთი წუთითაც არ დავიწყნია, რომ იგი დიდი წარსულის მქონე ქვეყნის შვილი იყო და ვერაფრით ეგუებოდა, როცა სამშობლოს დაშლასა და გადაგვარებას თავისი თვალით ხედავდა. ამ ტკივილიან, მტანჯველ თემას ეძღვნება მისი პუბლიცისტური ნაწერების უმეტესობა და რომანების მთელი ციკლი.

ოთარ ჭილაძე რომ კომპოზიციის დიდოსტატია, ადრე გამოვლინდა მის ლირიკულ შედევრებში. ამ სანაქებო უნარმა არც რომანებში უმტყუნა და ეს ყველაზე სრულყოფილად გამოჩნდა მის ბოლო, მეექვსე, მონოლითურად შეკრულ რომანში „გოდორი“, სადაც არნახული ძალითა და პირდაპირობით არის ნაჩვენები ერის დაცემის აპოკალიფსური, შემაძრწუნებელი სურათები.

რომანის ექსპოზიციურ ნაწილში გამოჩენილი რომის პაპის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი იმ იმედით ჩამოდის საქართველოში, რომ ეს ქრისტიანული, ოდესღაც რაინდული ქვეყანა ევროპას ოსმალთა ურდოების მოგერიებაში დაეხმარება, მაგრამ ორასი წლის მანძილზე მონღოლთა ტყვეობაში მყოფი ერთ დროს ძლიერი სახელმწიფო მისიონერს დედამიწის ზურგიდან გამქრალი, გაუჩინარებული დახვდება.

რომანის ფინალში გაპარტახების იგივე გულისმომკვლელი სურათია დახატული – ლუდოვიკო ბოლონიელის პირველი ვიზიტიდან ექვსასი წელია გასული („მაგიური რეალიზმი“ დამაჯერებელს ხდის ასეთ უცნაურობას). უცნაურად ჩაცმულ-დახურულ საპატიო ელჩს („ფართოფარფლებიანი, ფარშევანგის ფრთებით გაწყობილი ქუდი“, „ძოწისფერი მოსასხამი“) კვლავ „უკაცრიელი მინდვრები“ დახვდება, სიჩუმეში წაბლის ხეზე შემომჯდარ კაჭკაჭის სევდიანი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჩხავილი ისმის.

განსაკუთრებით ძლიერი, შთამბეჭდავია ლუდოვიკო ბოლონიელის ლექსად წარმოთქმული, შექსპირის ტრაგედიების შესადარი მონოლოგი. იგი ჯადოსნური კვერთხის დაქნევასავით კრავს რომანს და ბოლო სტრიქონებში მცირე, მოჭიატე იმედსაც გვიტოვებს, რომ ასე თვალდახელშუა გამქრალი ქვეყანა არყოფნის უფსკრულს თავს დააღწევს, ძველ იერს დაიბრუნებს: „... ერთ დღეს, როგორც წყლიდან მიწა, ან რძიდან ყველი, პირველყოფილი ბრწყინვალეგით ამოიზრდება...“

აშკარაა, ამ მეტაფორულად ნათქვამში თავად მწერლის ყველაზე სანუკვარი ოცნება, ნატვრა იკითხება: ამაზე ზრუნვას შეალია ერთ-ერთმა „ბედნიერმა ტანჯულმა“, შთაგონებით განათებული, დრამატიზმით აღსავსე თავისი გმირული, სამაგალითო ცხოვრება.

მძიმედ დაავადებული, სუნთქვაშებოჭილი ოთარ ჭილაძე უდიდესი დაძაბვით მუშაობდა მეშვიდე რომანზე („აკმე“). მხოლოდ ასიოდე გვერდის გადაბეჭდვა მოასწრო. ორი წლის სიცოცხლეს თხოვდა განგებას, რათა ბოლო ქმნილება როგორმე დაემთავრებინა (იგი ალბათ მისი შემოქმედების გვირგვინი იქნებოდა), მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ სურვილს აღსრულება აღარ ეწერა.

თამამად შეიძლება ითქვას – უცხოეთის ქვეყნებში არც ერთ ქართველ მწერალს არ ჰქონია იმდენი და ისეთი გამოხმაურება, რამდენიც ოთარ ჭილაძის რომანებს ჰქონდა. საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, დანია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუსეთი, უკრაინა, სომხეთი – ნაწილია იმ ქვეყნებისა, სადაც ოთარ ჭილაძის შემოქმედებამ დიდი რეზონანსი მოიპოვა.

„რკინის თეატრმა“ საფრანგეთში გამოსვლისთანავე საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, ხოლო დანიის გაზეთ „ვიკენდავისენში“ დაიწერა, რომ ამ რომანის შემდეგ „საქართველო უბრუნდება მსოფლიო ლიტერატურის რუკას“.

გამოჩენილმა რუსმა კრიტიკოსმა სტანისლავ რასსადინმა ზედიზედ გამოქვეყნებული რომანების ტრაგიკული ტონა-

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ლობის გამო ოთარ ჭილაძეს „ქართველი ესქილე“ უწოდა, „გოდორის“ წაკითხვის შემდეგ კი განაცხადა – ეროვნული გამოფხიზლების წარმომჩენი ასეთი სიძლიერის რომანი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ მოგვეპოვებაო. ეს უმაღლესი შეფასებაა.

გამომცემლობა „აზბუკამ“ 2000 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოსცა მისი პირველი რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. წიგნის ანოტაციაში ლაპარაკია ოთარ ჭილაძის პროზის რთულ, ძნელად ასახსნელ ფენომენზე, კერძოდ, ნათქვამია: „ამ პროზის პოლიფონიურობა გვაჯადოებს, ხოლო მისი კუთვნილება მარადისობისადმი სიმშვიდითა და იმედით გვასაჩუქრებს“.

1999 წელს ოთარ ჭილაძე ნობელის პრემიის უთვალსაჩინოესი ნომინანტი იყო, ამ ჯილდოს მიღების ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი, მაგრამ ცალმხრივობითა და მიკერძოებით ცნობილმა ნობელის კომიტეტმა საჭირო სამართლიანობა ვერ გამოიჩინა, რის გამოც მის კომპეტენტურობაში ეჭვი შეიტანეს, შვედეთის აკადემია თვით გამოჩენილმა ევროპელმა მწერლებმა და ჟურნალისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს, ვინაიდან ბოლო წლებში ასეთი შემთხვევები ძლიერ გახშირდა.

სხვა, საქვეყნოდ ცნობილ ლიტერატორთა აზრიც შეგვეძლო მოგვეტანა იმის თაობაზე, რომ ოთარ ჭილაძე არის თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი, მაგრამ ამგვარი შეხედულების დასტურად ეს მცირე ამონარიდებიც საკმარისია.

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა ოთარ ჭილაძის გარდაცვალების წლისთავზე გამოსცა ალმანახ „კრიტიკის“ მეხუთე, საგანგებო ნომერი (რედაქტორი – მანანა კვაჭანტირაძე), სადაც მწერლის უმდიდრესი შემოქმედება მრავალი კუთხით არის წარმოჩენილი და განხილული. ეს მეტად საჭირო და სასარგებლო საქმეა, მაგრამ გაგრძელებას მოითხოვს. მისი დანატოვარი (პოეზია, პროზა, დრამატურგია, ესეისტიკა, პუბლიცისტური წერილები, თარგმანები) ისევე ინტენსიურად, მაღალ პროფესიულ დონეზე უნდა ვიკვლიოთ, როგორც, მაგალითად, რუსეთსა და საზღვარგარეთ იოსებ ბროდსკის მიმართ კეთდება.

გამომცემლობა „ინტელექტმა“ სერიით „ჩანაწერები“ 2010 წელს დასტამბა ოთარ ჭილაძის წიგნი „ცა მიწიდან იწყება“, რომელიც ამშვენებს მთელ სერიას. ამ წიგნის წაკითხვა გვარწმუნებს – გაჭირდება მეორე თანამედროვე ქართველი მწერლის დასახელება, ვისაც ამდენი ეფიქროს მხატვრულ ოსტატობაზე და ასე სულისშემძვრელად გადმოეცეს ბოლო ათეულ წლების ტრაგიკული მოვლენები, რამაც უმძიმესი დაღი დაასვა საქართველოს, უკიდურესად დაასუსტა იგი.

სხვადასხვა დროის ჩანაწერებში უხვადაა გაბნეული ცხოვრებისეული დაკვირვებიდან გამომდინარე მახვილგონივრული მაქსიმები. ხშირად პოეტი თავის შეუმცდარ ალღოსაც ენდობა. სრულიად ახალგაზრდას (1959) რვეულში ასეთი რამ ჩაუწერია: „მხოლოდ სიკვდილის წინ შეიძლება, რომ ერთი სიტყვით თქვა ყველაფერი, ჩვენ სიკვდილამდე ამ სიტყვას ვეძებთ“.

(მარცხნიდან) ნოდარ გურეშიძე, ოთარ ჭილაძე და თამაზ ჭილაძე (2004 წ.)

ამ ღრმა აზრის ანარეკლი გარკვევით მოჩანს მის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში („გაზაფხულის პირველი დღე“, 1963), რომლის ფინალური სტროფი – ბობოქარ, ღვინონასვამ ვნებებთან შეხმიანება – ზემოთ დავიმოწმე.

ოთარ ჭილაძეს სიჭაბუკიდანვე ჰქონდა შეცნობილი პოეზიის უმაღლესი დანიშნულება, რასაც სადავოდ ვერავინ გახდის და ეს სასწაულმოქმედი ძალა ერთ წინადადებაშია ჩატეული და გაცხადებული:

„პოეზია აიძულებს ადამიანს, ამაღლდეს ყოველდღიური ყოფნის წვრილმანებზე და საკუთარ სულში შეიგრძნოს სამყაროს უსასრულობა“.

1982 წლის 7 სექტემბერს, ბიჭვინთაში დასასვენებლად მყოფმა რვეულს თავისი უსაზღვრო სიხარული, სულიერი კმაყოფილება გაანდო:

„დღეს ბავშვი გადავარჩინე ზღვაში დახრჩობას, ბედნიერი ვარ!“

ამ დაწურულ, ბროლივით გამჭვირვალე წინადადებაში ჩანს მთელი ოთარ ჭილაძე –სიცოცხლის დაუღალავი მეხოტბე. მის დასაცავად გუშაგივით მდგარი. მასავით ცოტა ვინმემ თუ იცოდა ბუნების ყველაზე დიდი სასწაულისა და ჯილდოს ფასი და თავისი ლექსების ბოლო, მეტად მნიშვნელოვან წიგნს, რომელსაც ოცდაათი წლის განმავლობაში წერდა, ტყუილად როდი უწოდა „გახსოვდეს სიცოცხლე“. ეს გამაფრთხილებელი მოწოდება ახლა პოეტის ანდერძად გაისმის.

ბავშვის გადარჩენის მსგავსი სიხარული განუცდია, როცა ლიკანში ჩასულმა (1995) სანატორიუმის შუაბანდში უმწეოდ მოფართხალე ჩიტი იხსნა. ეს შემთხვევა ასე აქვს აღწერილი: „გასასვლელს ვერ პოულობდა და გამწარებული აწყდებოდა აქეთ-იქით შუშის კედლებს. თან ფეხზე რაღაც ძონძი დასთრევდა. წიწკანას ბარტყი იყო. ქანცი ჰქონდა გამძვრალი. მე მგონი თვითონ დამაჭერინა თავი. ძონძი მოვაშორე და გავაფრინე. დავუბრუნე დედა ბუნებას“.

ოთარ ჭილაძე მძაფრად, უკიდურესი პირდაპირობით ეხმაურებოდა ჩვენს ცხოვრებაში მომხდარ ყოველ საგანგაშო მოვლენას. მახსოვს რა მწვავედ განიცდიდა, როცა ხელისუფლების უგუნური, ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილებით რესპუბლიკის მოედნიდან გაიტანეს და ხალხისთვის მიუდგომელ ტრასაზე დადგეს საქართველოს უდიდესი მონარქის, დავით აღმაშენებლის ძეგლი, მონუმენტი მეფისა, ვინც საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და სიძლიერის სიმბოლოს წარმოადგენს. აი, ის ჩანაწერიც,ამ ყოვლად გაუმართლებელ, ანტიეროვნულ საქციელს რომ უძღოდა:

„თუ საქართველოს დაშლა და განადგურება არ დაგვისახავს მიზნად, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვახლოთ ხელი დავითის ქანდაკებას“.

წინამდებარე წიგნი საგანგებო და საფუძვლიანი შეფასების ღირსია, რაც მცირე საიუბილეო წერილში ვერ მოხერხდება.

ბევრმა ჩვენგანმა იცის, როგორი შესაშური, შეუდარებელი ძმობა ჰქონდათ თამაზ და ოთარ ჭილაძეებს (მათი უჭკვიანესი და თინა ანგელოზური ბუნებისაა). უმცროსი ძმის გარდაცვალებიდან ორი წელი იყო გასული (2011), როცა თამაზ ჭილაძემ გამოაქვეყნა შინაგანი მღელვარებით, არისტოკრატიული თავდაჭერილობით, სამაგალითო უშუალობითა და შეფარული ტკივილით შექმნილი დიდებული წიგნი „ოთართან ერთად“, რომელიც ძვირფასი მასალა იქნება ყველასათვის, ვინც შემდგომში ოთარ ჭილაძეზე ბიოგრაფიული რომანის დაწერას განიზრახავს. ლიტერატურულ ღირსებებზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს იყო ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვით მიღწეული მოქალაქეობრივი გმირობა. მთავარი შთაბეჭდილება ის გახლდათ, რომ თამაზ ჭილაძემ მისთვის ჩვეული სინატიფით გამოაცალკევა და დაგვანახა თავისი ძმის მწერლური ოსტატობის განუმეორებელი მომხიბლაობა, გარეგნულ ეფექტებს განრიდებული უარსებითესი ნიშნები.

ამ იშვიათი და წრფელი წიგნის დახასიათებას აქ არ შევუდგები. მოვიხმობ მხოლოდ ერთ ფაქტს იმის ნათელსაყოფად, თუ რა განუზომელი ძალა აქვს ჭეშმარიტ მხატვრულ სიტყვას. ოთარ ჭილაძის უძლიერეს რომანს – „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ ერთი ქართული ოჯახის ტრაგიკულ საგას გამოაგნებელი შთაბეჭდილება მოუხდენია ნოვოსიბირსკელ პედაგოგზე, პროფესორ ელვირა გორიუხინაზე და 1982 წელს ქალბატონი ელვირა თბილისში სწვევია ოთარ ჭილაძეს, რათა მისთვის ემცნო მტკიცე გადაწყვეტილება, რომ აპირებდა, ნოვოსიბირსკის ერთ-ერთი სკოლის დამამთავრებელ კლასებში ქართული რომანი სავალდებულო საგნად შეეტანა.

სავსებით გასაგებია თამაზ ჭილაძის სიამაყე, როცა იგი წერს:

„ეს იყო ნამდვილი სენსაცია – რუსული პედაგოგიკის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ დამამთავრებელ კლასში (საერთოდ!) სავალდებულო საგნად ექციათ სხვა ქვეყნის მწერლის რომანი“.

ელვირა გორიუხინას, როგორც მშობლების, ასევე ცნობილი მეცნიერებისა და თვით კოლეგების მხრიდან საკმაო წინააღმდეგობა შეხვედრია, მაგრამ როცა მისმა სამოცდაათმა მოწაფემ სამოცდაათი აღტაცების გამომხატველი, ღრმად გააზრებული ნაშრომი წარმოადგინა ამ რომანზე, მას ხელი ვეღარავინ შეუშალა და საბოლოოდ ყველანი მადლიერებით განისმჭვალნენ ნიჭიერი და ნოვატორი პედაგოგის მიმართ.

იმის წარმოსადგენად, განსჯის როგორი მისაბაძი უნარი გამოამუღავნეს ნოვოსიბირსკელმა მოსწავლეებმა, ერთი მათგანის ნაწერიდან მოტანილი ნაწყვეტიც გვარწმუნებს:

„... ჭილაძის რომანი ძნელი წასაკითხია. ის თითქოს უსასრულოა, უსასრულოა, როგორც ცხოვრება. მას არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული. ის იქ იწყება, სადაც გაჩნდა კაცობრიობა და დამთავრდება მხოლოდ მის დაღუპვასთან ერთად. ჭილაძის რომანი –ეს ცხოვრების უსასრულო ლენტის ნაგლეჯია“.

დასასრულ,ამისი თქმაც საჭირო მგონია – თუ რამდენად დიდი მასშტაბისა და დიაპაზონის შემოქმედია ოთარ ჭილაძე, ეს ჩვენს დღევანდელობას ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული, ამის ჩაწვდომასა და გაგებას ათეული წლები დასჭირდება.

ყველანი ვხედავდით – იგი ყოველთვის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. არანაირ სიძნელეს არ გარიდებია, უკანაც არასოდეს დაუხევია. წარბშეუხრელი, მუდამ იქ იდგა, სადაც და როდესაც მის სამშობლოს უჭირდა და მისი მოუსყიდველი, მართლაცდა ოქროს კალამი ძალმომრეობასთან, სიბნელესთან დაუცხრომელ ბრძოლაში გაილია.

პოეტის გარდაცვალებასთან ერთად, დაიწყო მისი გზა მარადისობისკენ, რასაც არასოდეს ექნება დასასრული. სიმბოლური გახლავთ ისიც, რომ ქართველმა ხალხმა ოთარ ჭილაძეს გენიალური ვაჟა-ფშაველას გვერდით, მთაწმინდაზე მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი.

ემზარ კვიტაიშვილი,
4 მარტი, 2013 წ.

◎ ლიტერატურული მოვლენა

45 წლის წინათ „კოლხიდა“, 45 წლის შემდეგ „ბრიდა“ - საჩუქრად

45 წელიბ თითქმის სულ გვერდი-გვერდ მოვდივართ, გაზეთ „კომუნისტში“ შტატში რომ ჩამრიცხეს, მანაც შემაშვალა ერთი-ორი თბილი სიტყვა დავით მჭედლიშვილთან – გაზეთის ლეგენდარულ რედაქტორთან. მერე იყო „საქართველოს რესპუბლიკა“, სადაც, ღვთის მადლით, დღემდე ვართ და, რომ იტყვიან, შევაბერდით ერთმანეთს.



გურამ გოგიაშვილი მუდამ „უფროსი“ იყო, ან რედაქტორი, ან მოადგილე... რამდენჯერაც შევსულვარ მის კაბინეტში (ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას კურირებდა) სულ წერით იყო გართული და ლექსიკონებში თავჩარგული. მე უკვე საკმაოდ მსმენოდა მის ნიჭიერებაზე, ქართული ენის უბადლო ცოდნაზე, ლექსებიც წამეკითხა მისი და მოთხრობებიც, მაგრამ ახლა უკვე გურამ გოგიაშვილის „მთავარი საქმე“ მხატვრული ლიტერატურის თარგმნა გამხდარიყო, ხოლო, ამას რომ დიდებულად აკეთებდა, ერთ დღესაც მისგან ნაჩუქარმა **კონსტანტინე პაუსტოვსკის,** ასე ვთქვათ, „ქართული თემის“ კითხვამ დამარწმუნა. ამ სქელტანიან წიგნში შესულია ცნობილი რუსი მწერლის საქართველოზე ნაფიქრალ-ნააზრევი, დოკუმენტური პროზა – **„ოქროს ვარდი“, „კოლხიდა“, „ნახტომი სამხრეთისკენ“.** მთარგმნელმა, რასაკვირველია, რუსული კარგად იცოდა, მაგრამ თარგმანებში, რომ იტყვიან, დომინირებდა უზადო ქართული (საერთოდ, მთავარი „იარაღი“ გურამ გოგიაშვილისა).

გადიოდა დრო, საქართველოში ათასნაირად იცვლებოდა ვითარება, მაგრამ გურამ გოგიაშვილი „თავისი საქმის“ ერთგული რჩებოდა, უკვე სახელიც გავარდნოდა, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის ლაურეატიც გამხდარიყო და ცხონებულმა ვახტანგ ჭელიძემ – ცნობილმა მთარგმნელმა და გამომცემელმა, როგორც თვითონ გურამი იტყვის ხოლმე, უზარმაზარი ტვირთი აჰკიდა – ფრანგული მხატვრული სიტყვის ერთ-ერთი ფუძემდებლის **ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელის“** თარგმნა გააბედვინა. აი, საქმე და სამუშაო ეგ იყო, რასაც დღეღამის გამასწორებელი 30 წელიწადი მოანდომა გურამმა. მაგრამ „დადო“ თარგმანი, რომელიც ჭეშმარიტად ქართული კულტურის შენაძენად არის მიჩნეული. თარგმანის სრულ ვარიანტს **„ოქროს ბიბლიოთეკის სერიით“** მალე გამოსცემს **„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.**

მე მომსწრე ვარ, რაბლესგან ვითომ „წუთშესვენებების“ დროს, წუთს რომ არ ჰკარგავდა გურამ გოგიაშვილი და „საუცბათო“ შეკვეთებსაც ასრულებდა, მაგალითად, რუსთაველის თეატრში დადგმული **გელმანის** პიესა **„ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი“** და ჩეხი ავტორების – ცოლ-ქმარ ტამანოვების ვრცელი ბიოგრაფიული რომანი **„სოკრატე“...** ოსტროვსკის **„უდანაშაულო დამნაშავენი“,** რომელიც მესხეთის თეატრში დაიდგა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ცნობილი სერბი მწერლის მილორად პავიჩის რომანების **„ხაზარული სიტყვის კონის“, „სხვა სხეულის“, „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვის“** თარგმანები.

და აი, რამდენიმე წელიწადია, იგი, მთელ მსოფლიოში დღეს ცნობილი და „მოდური“ ბრაზილიელი მწერლის **პაულო კოელიოს** რომანების ქართულად **გადმოენებას** („თარგმნას“ **„გადმოენება“** სჯობსო, გვარწმუნებს) უზის. უკვე გამოვიდა მისგან ქართულად შესანიშნავად თარგმნილი კოელიოს **„ალქიმიკოსი“, „მეხუთე მთა“, „მოგვის დღიური“.**

ამ დღეებში კი გამომცემლობა **„წიგნის სახელოსნომ“** (დირექტორი **მამუკა ხანთაძე**) უკვე მიაწოდა მთარგმნელს კოელიოს კიდევ ერთი რომანის **„ბრიდას“** სასიგნალო ეგზემპლარები.

ამ წიგნში მოთხრობილია მთვარის ტრადიციის მომავალი მოძღვრის – ახალგაზრდა ბრიდა ო’ ფერნის საკვირველი და მართალი ამბავი. რომანს საფუძვლად უდევს ცხოვრებაში საკუთარი თავისა და საკუთარი მიზნის ძიების კოელიოსთვის ჩვეული იდეა. კოელიო თავისი გმირების ენაპირით მსჯელობს რწმენასა და რელიგიაზე, ჯადოსნობასა და გრძნობა-მაგიაზე და, რასაკვირველია, სიყვარულზე. ამ უბრალოდ და მხიარულად მოთხრობილ ამბავში თვით ჯადოსნობაც კი ადამიანის გულის ენით მეტყველებს.

45 წლის შემდეგ უკვე „ბრიდას“ მჩუქნის ძველი მეგობარი, და, განა, შემეძლო, არ გამოვხმაურებოდი ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის ახალ ნამუშაკევს?.. ის კი არა, უცებ, კვიმატი ლექსპრომტიც კი „წამომიფრინდა“: **„ლამის ყველა „დაიბრიდა“, ვინაც წაიკითხა „ბრიდა“.**

ეს ისე, მეგობრული შეხუმრებით, თორემ ახლა სრული სერიოზულობით გეტყვით, ძვირფასო მკითხველო, რომ „ბრიდას“ თარგმანის კითხვისას, თქვენ ჭეშმარიტად ისიამოვნებთ ქართული ენის სიდიადით, რომლის ალქიმიკოსი, სწორედაც რომ არის გურამ გოგიაშვილი.

ვილენ მარდალეიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სატენდერო მოწვევა

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტი (TEWHIP) (P112523) სატენდერო მოწვევა № TEWHIP/CW/NCB-02

E-60 ავტომაგისტრალზე მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები (ეტაპი I)

1. საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტისათვის (TEWHIP). აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება E-60 ავტომაგისტრალზე მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი ღონისძიებების (ეტაპი I) ასანაზღაურებლად.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს დალუქული კონვერტებით წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდია 4 თვე.

3. სამუშაოების წინასწარი ღირებულება შეადგენს 820,000 ლარს ყველა სახის გადასახადის და სახელმწიფო მოსაკრებელის ჩათვლით, როგორც ეს წარმოდგენილია ინსტრუქციის 14.7 ქვეთავში. თუმცა, ტენდერში მონაწილის პასუხმისმგებლობაა წარმოდგენილი სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს წინასწარ ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და აგრეთვე გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების ღირებულებაზე.

4. სამუშოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი)“ და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის.

5. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსს ბ-ნ ილია მესხიშვილს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

6. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ 1,200,000 (მილიონ ორასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით;

ბ. ძირითადი კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში ერთ-ერთ ობიექტზე ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშოებს (სამუშოთა მინიმუმ 80% დასრულებული უნდა იყოს) ღირებულებით არა ნაკლებ 700,000 (შვიდასი ათასი) ლარის ოდენობით;

გ. არანაკლებ 20,000 მ² ასფალტ-ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშოების შესრულება უკანასკნელი 5 წლიდან რომელიმე ერთი წლის განმავლობაში მინიმუმ 1 კონტრაქტის ფარგლებში;

დ. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების, გარდა ავანსისა, ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ 200,000 (ორასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით.

ვ. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში: ნაწილი III – შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, პარაგრაფი 1.6.

7. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან აშშ დოლარში მისი ექვივალენტის გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადახდისთვის:
მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიშის №200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკის ძველი კოდი (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800
სავალუტე ანგარიშის №001 189 362

აშშ. დოლარში გადახდისთვის:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: F**RNYUS**33
მიმღები აგენტი:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
SWIFT CODE: BNLNGE22
ბენეფიციარი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
IBA: GE65NB0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მიუთითეთ ს/გზის მონაკვეთის დასახელება).
მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

8. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2013 წლის 15 აპრილის 17:00 საათისა **ადგილობრივი დროით. წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს** 2013 წლის 15 აპრილის 17:00 სთ-ზე ადგილობრივი დროით.

9. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ანუ 90 დღე+28 დღე=118 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს პუნქტს ITB 19.8, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

10. დამკვეთის მისამართი, სადაც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო
შესყიდვების სამმართველო, IV სართული
ბ-ნი ილია მესხიშვილი, შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსი
ტელ: + (995 322) 37-05-08, დამ. 305
ფაქსი: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

INVITATION FOR BIDS

Georgia

Third East-West Highway Improvement Project (TEWHIP) (P112523) Bid Invitation No: SLRP II/CW/NCB-02

SMALL SCALE ROAD SAFETY IMPROVEMENTS ALONG E-60 HIGHWAY, STAGE I

1. Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Third East-West Highway Improvement Project (TEWHIP) and intends to apply part of the proceeds to eligible payments for contract for small scale road safety improvements along E-60 Highway, Stage I.

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes. Implementation period for execution of construction works is 4 months.

3. The estimated cost of proposed works is **GEL 820 000**, including all taxes, duties and other governmental levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.

4. Procurement of works will be conducted through the procedures of National Competitive Bidding as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers (January, 2011) and is open to all eligible bidders as defined in the guidelines.

5. Interested eligible bidders who wish to receive any additional information and inspect the bidding documentation should contact Mr. Ilia Meskhishvili, Head of Procurement Organization Unit of the Roads Department of Georgia at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

6. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a. Average annual construction turnover of at least 1,200,000 GEL (One Million Two Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent over the last 3 (three) years;

b. experience as prime contractor in the construction of at least one work of a nature and complexity equivalent to the works over the last 5 (five) years (at least 80 % of works should be complete) with a value of at least 7000,000 GEL (Seven Hundred Thousand Georgian Laris);

c. At least 20,000 m² of asphalt-concrete pavement rehabilitation executed in any one year during the last five (5) years.

d. the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation;

e. Liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclusive of any advance payments which may be made under the Contract, of no less than 200,000 GEL (Two Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent.

f. Additional qualification criteria are applicable as indicated in the Bidding Document: Section III – Evaluation and qualification criteria, item 1.6.

7. A complete set of bidding documentation in English language may be purchased by interested applicants on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

For GEL transfer:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

For USD transfer
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: (Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia)
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert road section name)
If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

8. The Bids should be delivered at the address below not later than **April 15, 2013, 17:00** Hours local time. Electronic versions of the bids are not acceptable. Late bids will not be accepted. The bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend bid opening on, **April 15, 2013, 17:00** Hours local time.

9. All bids should be submitted together with the Bid Security Declaration. Bid Security Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 90 days+28 days = 118 days). For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

10. The Employer's address for the purpose of Bid submission is:
Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Procurement Department, IV Floor
Mr. Ilia Meskhishvili, Head of Procurement Organization Unit
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08 ext.305
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მიმართვა

ხაშმში რევაზ ინანიშვილის სახლი ინგრევა!

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბატონ გურამ ოდიშარიას

„კვირა არ გავა, იქ (ხაშმში) არ ვიყო, თან სულ მძიმე სიზმრებში! ხან ჩემი ეზოს დიდი კაკალია გამხმარი და ტოტებჩამოლეწილი, ხან მღვრიე წყალია ბალჩაში შევარდნილი, ხანაც სახურავი ენგრევა, ან უკვე ჩანგრევია ჩვენ სახლს. შიგაც არავინ არის, არც ჩვენთან, არც ბიძაჩემთან. ვდგავარ ხოლმე ძირს და ვეძახი ჩემს ძმას, მერე ბიძაჩემ გიორგის. ხმას არავინ მცემს. ცივად და შავად იყურებიან ფანჯრები. ამომიჯდება გული, ავტირდები...

დღისით, ღამის გახსენებისას, ვითომ ვიცინი: „ხაშმო, ტკბილად შემკობილო, თეატრო და კლუბიანო, სოფლის თავში მაშტიაო, სოფლის ბოლოს კუზიანო,“ — ვიმეორებ ჩვენებური მაჩვი ნიკუას ლექსს, საწყალი მაჩვი ნიკუას იშვიათი იუმორით თქმულ ლექსს, ვითომ დარდს ვიშორებ გულიდან, მაგრამ მე და ხაშმმა ხომ ვიცით, საქმე როგორც არის! თავის მაღლა აწევა მიჭირს მის წინაშე,“ — წერდა რევაზ ინანიშვილი თავის მოგონებებში.

ასეთი წინასწარმეტყველური სიზმრები ჰქონდა დიდ მწერალს, „რომ გაილვიძებდა, სულ დამწუხრებული მეუბნებოდა, წუხელ ჩემი სახლი ვნახე, თითქოს ნიაღვარი მოვარდა და ჩემს ეზოს მოადგა. ვყვიროდი, ვეძახდი ყველას და არავინ გამაგონაო,“ — იხსენებს მწერლის მეუღლე, ქალბატონი როზა ინანიშვილი.

თითქოს აუხდაო, მისი მშობლიური სახლ-კარი დღეს განსაცდელის პირასაა.

და არავინ გულშემატკივარი, არავინ — შემწე... თორმეტი წელიწადია რევაზ ინანიშვილის ფუძე და კარმიდამო დახმარებას ელის.

რევაზ ინანიშვილის სახლი ხაშმში ინგრევა...ამის თაობაზე რამდენჯერმე გადაიცა ტელევიზიით, პრესაშიც გამოქვეყნდა, დაყრუებული იყო წინა ხელისუფლება. ქართველი მწერლების ერთმა ჯგუფმა მაშინ საქართველოს პრეზიდენტის სახელზე საგანგებო წერილი გაგზავნა, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულმა“ გადაწყვიტა ამ საქმეში საკუთარი წვლილის შეტანა. რევაზ ინანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატების დაჯილდოებაზე რამდენჯერმე გახმიანდა ეს სავალალო ფაქტი. მწერლებმა გადაწყვიტეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბატონ გურამ ოდიშარიას მიმართონ დახმარებისთვის.

გთავაზობთ ამ მიმართვის ტექსტს:

ქართული მწერლობისა და საზოგადოების წარმომადგენლები მოგმართავთ თხოვნითა და იმედით, რომ გაითვალისწინებთ ჩვენს თხოვნას და დიდი მწერლის, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ ინანიშვილის დანგრეულ მამაპაპისეულ სახლს მშველელად მოევლინებით და საშვილიშვილო საქმეს სასიკეთოდ შეეწევით.

როგორც მოგეხსენებათ, რევაზ ინანიშვილი დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდი გატარა საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში, სადაც ცხოვრობდნენ მისი მშობლები და წინაპრები.

საქართველოს კულტურის სამინისტროსა და კახეთის მაშინდელი გუბერნატორის მხარდაჭერით, ამ რამდენიმე წლის წინათ, საუბარი იყო ამ შენობის სახლ-მუზეუმად გამოცხადების თაობაზე.

ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ რაიონის გამგეობიდან მოვიდნენ და ამ მიზნით მიწისძვრისგან დაზიანებული მეორე სართულის გადაკეთება დაიწყეს, რომელიც მთლიანად მოსახსნელი და ხელახლა ასაშენებელი გახდა. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, გაურკვეველი მიზეზებით სამუშაოები საერთოდ შეჩერდა. უმეთვალყურეოდ დარჩენილი სამშენებლო მასალა მთლიანად მოიპარეს. მეორე სართულის კედლები ნახევრადაა შემორჩენილი, რომლებიც დროთა განმავლობაში უფრო დაიბზარა და მეტად სავალალო მდგომარეობაშია. ნებისმიერ დროს სახლი შეიძლება ნანგრევებად იქცეს.

მწერლის მეუღლემ, ქალბატონმა როზა ინანიშვილმა თითქმის ყველა ინსტანციას მიმართა და შველა სთხოვა, მაგრამ, სამწუხაროდ, დახმარებას პირი დღემდე არსაიდან უჩანს. დედაქალაქის მთავრობა ეუბნება, ეს პრობლემა კახეთის გუბერნატორის მოსაგვარებელიაო. როცა ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართა თხოვნით, წერილი საგარეჯოს რაიონის გამგეობას გადაუგზავნეს, ისინი უკან თელავს უგზავნიან და ასე შემდეგ... რაიონული გამგეობიდან სიტყვიერად უპასუხეს, სათანადო თანხა არ გვაქვსო, არადა, საუბარია სულ ორ ოთახზე. თანაც პირობების არარსებობის გამო, ოჯახიც ვერ ჩადის, ეზოც გავერანდა, ეკალ-ბარდით დაიფარა და ნამოსახლარს დაემსგავსა!

გთხოვთ, სასწრაფოდ თქვენს განკარგულებას შესაბამისი ორგანოებისადმი და სათანადო სახსრების გამოყოფას, რათა სახლს ჩაუტარდეს რესტავრაცია და შესაძლებელი გახდეს მწერლის მუზეუმის გახსნა.

მაშინ, როდესაც ზნეობრივ საქართველოს ვაშენებთ, უპირველესად სწორედ რევაზ ინანიშვილს მოვიაზრებთ ასეთი სულიერების სიმაღლედ. ხაშმში მისი ფუძე-კარის აღდგენა დიდი მწერლისადმი არა მხოლოდ პატივისცემის გამოხატულებაა, არამედ მომავალი თაობებისათვის სწორედ ზნეობრივი საქართველოსკენ მიმავალი გზის მაჩვენებელია.

უღრმესი პატივისცემით:

ივანე ჯაფარიძე, თამარ შაიშმელაშვილი, როსტომ ჩხეიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, გურამ გოგიაშვილი, ზურაბ ლავრელაშვილი, გია ჯოხაძე, ზვიად კვარაცხელია, მაია ჯალიაშვილი, ინგა მილორავა, ჯუმბერ ჯიშკარიანი, თამაზ ხმალაძე, მანანა ჩიტიშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, ქეთევან დოლიძე, ზურაბ კანდელაკი, მარიამ წიკლაური, ირმა მალაციძე, ზაზა ბიბილაშვილი, ნინო სადღოგელაშვილი, ნინო ჩხიკვიშვილი, თამარ გაბრუშვილი, ქეთევან დიდიშვილი, მამუკა ვაშაკიძე, ლაშა გვასალია, ლინა ბარათაშვილი, ნანული ბუკია, ბელა შალვაშვილი, მარინე თეძთუმანიძე, მზია ხეთაგური, იულონ ტოლიაშვილი, ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილი, თამარ მიქაძე და სხვ.

◎ რეპლიკა

უმადურობა და უფრო მეტი

ძალიან ცუდია, როცა უგულებელგყოფენ, მაგრამ კიდევ უფრო მწარე უმადურობაა.

აქ არ მოვყვები, თუ რა წვლილი მაქვს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის“ დაფუძნებაში, მისი საქმიანობის წარმართვაში, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ რაც წერა-კითხვას შეეხებოდა, ყველაფერი ჩემი გასაკეთებელი იყო. შემდეგ ჩვენი გზები გაიყო და შორიდან ვადევნებდი თვალ-ყურს ფონდის ხელიდან ხელში გადასვლას. ჩემთვის მიუღებელ ამ აღებ-მიცემობას წინ ვერ აღვუდგებოდი, რადგან შეცდომა თავიდანვე მქონდა დაშვებული: ფონდის ერთ-ერთ დამფუძნებლად დარეგისტრირება არ მოვინდომე.

2006 წელს, როცა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, როგორც მეცენატი, „ოქროს ფრთით“ დავაჯილდოვეთ, 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოკრძალებული წიგნი მივუძღვენით — იმ დროისათვის უჩინარი ქველმოქმედის საჩინო ღვაწლზე ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი საუბრობდნენ.

წიგნს ორი რედაქტორი ჰყავდა— ნუგზარ სხირტლაძე და მე. ყველა სიტყვა ჩვენი მოპოვებული იყო, სათაურიც და დიზაინიც ჩვენი მოფიქრებული.

ამ დღეებში ერთი ძვირფასი პიროვნების ოჯახში ვნახე მსგავსი წიგნი, რომელიც ქალბატონ ეთერ ჯიშკარიანს სულ ახლახან გამოუცია. შესავალში 7 წლის წინათ გამოცემულ წიგნს იხსენებს. იხსენებს ისე, რომ ჩვენ, რედაქტორებს, არც კი გვახსენებს (?!). ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ თვითონ წიგნი ტოვებს მძიმე შთაბეჭდილებას.

ერთია, როცა წიგნს უძღვნი ქველმოქმედს და სულ სხვაა, როცა წიგნს უძღვნი პრემიერ-მინისტრს.

პირველი მადლიერების გამოხატულებაა.

მეორე?

დაე, მეორეს სახელი მკითხველმა თვითონ დაარქვას.

თუ ამას მაინც გადაწყვეტ, დიდი ზომიერება და გემოვნება გმართებს, ბევრი უხერხულობა რომ თავიდან აიცილო, მაგალითად, არ უნდა დაბეჭდო სტატია ასეთი სათაურით: „ჭორვილა — ისტორიული სოფელი, სახელმწიფოებრივი ჰუმანიზმის რვასაუკუნოვანი სიმბოლო.“

ეს მართლაც უხერხულია.

ნუთუ გულწრფელად გვგონია, რომ ამით პრემიერ-მინისტრს ვასიამოვნებთ?!

აღარაფერს ვამბობ წმინდა პროფესიულ ლაფსუსებზე. მაგალითად, არ შეიძლება, მწირ და პრიმიტიულ ინტერვიუს, რომელიც სულ ორი კითხვისაგან შედგება, ბოლოში მიაწერო: „ინტერვიუს უძღვებოდა...“

და ბოლოს — ისევ მთავარზე: ვისთვის კი არა, რისთვის გამოიცემა ასეთი წიგნი?

ვფიქრობთ, პასუხი ყველასთვის ნათელია.

იოსებ ჭუმბურიძე

არჩევნები საინჟინრო აკადემიაში

6 მარტს ჩატარდა საქართველოს საინჟინრო აკადემიის საერთო კრება, რომელზეც არჩეულ იქნა საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტად ბატონი არჩილ ფრანგიშვილი, ვიცე-პრეზიდენტებად ბატონები: ირაკლი ჟორდანია, გივი აბდუშელიშვილი, რევაზ არველაძე, გურამ ვარშალომიძე, ალექსანდრე ჩხეიძე, გურამ ჯავახაძე, თამაზ ჯანელიძე. აკადემიის აკადემიკოს-მდივნად არჩეულია ბ-ნი ივანე გორგიძე.

კრებამ, დებულების თანახმად, „წლის საუკეთესო ინჟინრის“ წოდება მიანიჭა და საპატიო დიპლომები გადასცა საქართველოს საინჟინრო აკადემიის შემდეგ წევრებს:

ბ-ნ **კონსტანტინე ოდიშვილს** — სამოქალაქო მშენებლობაში გაწეული მნიშვნელოვანი წვლილისათვის;

ბ-ნ **გუგა ჭოხონელიძეს** — სამშენებლო დარგის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის;

ბ-ნ **ავთანდილ ხოფერიას** — მანქანათმშენებლობის დარგის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის;

ბ-ნ **თამაზ შილაკაძეს** — ქ. თბილისის გზებისა და სატრანსპორტო კვანძების დაპროექტებისა და მის რეალიზაციაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის;

ქ-ნ **ირინე ბერძენიშვილს** — ქიმიური ტექნოლოგიის დარგის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის;

ბ-ნ **ოთარ ჩაკვეტაძეს** — შენობა-ნაგებობების პროექტირების და საექსპერტო სამუშაოების მაღალ დონეზე შესრულებისათვის.

აგრეთვე ბ-ნ **ალექსანდრე ქურდაძეს** გადაეცა საპატიო დიპლომი საქართველოს საინჟინრო აკადემიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

◎ ფრაზები

სხვისთვის იქმნი

- **კარგამყოფობა თუ გინდა — ირბინე! სიცოცხლე თუ გინდა — გაიქეცი!**
- **სნაიპერი, ანუ ჩუბინი, ცუდი სამიზნეა ხუმრობისთვის.**
- **სამუშაოს ბრიყვები უყვარს, მაგრამ ისინი სამუშაოს არ ეტანებიან.**
- **ლარის კურსი, როგორც არასდროს, სტაბილურია და ჩვეულებრივად ას თეთრს არ აჭარბებს.**
- **არაფერი ისე არ გვაღელვებს, როგორც დაწყნარდი, დაწყნარდის რომ გვეუბნებიან.**
- **ბედნიერები მიტინგებს არ აწყობენ.**
- **ორგანიზმი იმისთვის აქვს ადამიანს, რომ ექიმთან რაღაცის გამო დაჩივლების საშუალება ჰქონდეს.**
- **რამდენჯერ უნდა გავიმეოროთ ერთი და იგივე, ყოველი ქალი ისე წყვეტს, როგორც თვითონ უნდა.**
- **სამწუხაროა, მაგრამ ქალი გვირაბის ბოლო შუქი კი არა, თვითონ გვირაბია.**
- **ქალთა მოვალეობანი ჩვეულებრივ თვითონ ქალთა უფლებებითვეა შეზღუდული.**
- **ქალის ფეხებთან ჩაყუნცული ფინიას მოფერება აუცილებლად მოუნდება ვისმე.**
- **ქალის უცოდნელობას მამობამდე მივყავართ.**
- **კოსმეტიკას შეუძლია, რომ სხვისი სახე თვითონ დაიმგვანოს.**
- **ზოგიერთი ქალი ისეთი სანდომიანია, რომ ცოლად ვერ წარმოიდგენ!**

შეკრიბა
გურამ შატაიძემ

◎ ინფორმაცია

ძვირფასი ქვები უკანონოდ შემოჰქონდათ

სადახლოს საბაჟო გამშვებ პუნქტზე ძვირფასი ქვების უკანონოდ შემოტანის ფაქტი გამოვლინდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, სადახლოს საბაჟო გამშვებ პუნქტზე, სომხეთიდან საქართველოში, ძვირფასი ქვების, სავარაუდოდ, ბრილიანტის, სამართალდარღვევის გზით შემოტანის ფაქტი გამოვლინდა. კერძოდ, სომხეთის მოქალაქე ხ.ბ. საბაჟო პროცედურების გვერდის ავლით, მალულად ცდილობდა ქვეყანაში ძვირფასი ქვების შემოტანას. შემოსავლების სამსახურის, საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ გამოვლენილი, არადეკლარირებული საქონელი, საბაჟო ღირებულების დადგენის მიზნით, ექსპერტიზაზე გადაიგზავნა.



ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ფორუმის წინ

ესეც სტიმულია

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა მოადგილე თამაზ თევზაძესთან, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვსა და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძესთან ერთად ბორჯომში დასკვნით შეკრებაზე მყოფი საქართველოს მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების წევრები მოინახულა.

თბილისში 19-24 მარტს გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის გენერალურ მზადებას საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრები ბორჯომში სპორტკომპლექს „ოლიმპში“ გადიან.

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ორივე ნაკრების მწვრთნელებმა ის შემადგენლობები დაასახელეს, რომლითაც კონტინენტის პირველობაზე წარსდგებიან.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი რევაზ მინდორაშვილი შემადგენლობის შერჩევისას ძირითადად საქართველოს ჩემპიონატის შედეგებს დაეყრდნო, ბერძენ-რომაელთა მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია კი ზუსტად იმ ექვსეულს აჭიდავებს, რომლითაც ნაკრები ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე გამოვიდა. ერთადერთი, ვინც ნაკრებს დაემატა და ლონდონში არ გამოსულა, ლაშა გოგიტაძეა (55 კგ).

„თავისუფალთა“ ნაკრები ბორჯომიდან თბილისში 17 მარტს დაბრუნდება და სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ დაბინავდება. 18-ში ტურნირის კენჭისყრა გაიმართება, 19-22 მარტს კი ევროპის ჩემპიონ-პრიზიორები შვიდივე წონით კატეგორიაში გამოვლინდებიან. 19 მარტს მედლები 66 და 96 კილოგრამებში გათამაშდება, 20 მარტს — 55 და 60 კილოგრამებში, 21-ში — 74 და 120, ხოლო 22-ში-84 კილოგრამში.

ბეგი დარჩიას გუნდი ბორჯომიდან 21-ში დაბრუნდება, 23 მარტს ჩემპიონატში 55, 60, 96 და 120კგ. წონითი კატეგორიის მოჭიდავეები ჩაებმებიან, 24 მარტს კი ჩემპიონ-პრიზიორებს 66, 74 და 84კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეები გამოავლენენ.

გია პლატონიშვილი

◎ ფეხბურთი

ხილი ნაჟარია

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა:

„მალაგა“ — „ბორუსია“,
„რეალი“ — „გალათასარაი“,
„პარი სენ-ჟერმენი“ — „ბარსელონა“,
„ბაიერნი“ — „იუვენტუსი“.

ამ ეტაპის შეხვედრები 26-27 მარტს და 9-10 აპრილსაა დანიშნული.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ევროპის ლიგა

მორიგი გაცხრილვა

გაიმართა ევროპის ლიგის საპასუხო მერვედფინალური შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„ნიუკასლი“ — „ანჟი“ 1:0 (პირველი მატჩი 0:0), „ფენერბახჩე“ — „პლზენი“ 1:1 (1:0), „ლაციო“ — „შტუტგარტი“ 3:1 (2:0), „ჩელსი“ — „სტიაუა“ 3:1 (0:1), „რუბინი“ — „ლევანტე“ 2:0 (დამატებით დროში, 0:0), „ზენიტი“ — „ბაზელი“ 1:0 (0:2), „ინტერი“ — „ტოტენჰემი“ 4:1 (დამატებით დროში, 0:3), „ბორდო“ — „ბენფიკა“ 2:3 (0:1).

28 მარტს და 11 აპრილს მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:
„ჩელსი“ (ინგლისი) — „რუბინი“ (რუსეთი),
„ტოტენჰემი“ (ინგლისი) — „ბაზელი“ (შვეიცარია),
„ფენერბახჩე“ (თურქეთი) — „ლაციო“ (იტალია),
„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ნიუკასლი“ (ინგლისი).

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

სხვათა ომშიც ვიბრძვით

ევროლიგის II ჯგუფური ეტაპის XI ტურში სიენაში ქართული დერბი შედგა: „მონტეპასკი“ — „ოლიმპიაკოსი“ („ვ“ ჯგუფი).

მოგეხსენებათ, პლეი-ოფში თითოეული ჯგუფიდან 4-4 საუკეთესო კლუბი ითამაშებს, ამიტომ აღნიშნული შეხვედრის შედეგს, სატურნირო ცხრილში შექმნილი გაურკვეველი ვითარების გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მოლოდინი გამართლდა — სარბიელზე უშელავათო ბრძოლა გაჩაღდა, რომლის ბედიც უკანასკნელ წამებზე ბერძენთა სასარგებლოდ გადაწყდა — 68:67, არადა, მეორე ტაიმის დებიუტში მასპინძლები 47:39 იგებდნენ.

„ჯვაროსანთა“ პირადი მონაგარი ასეთია: ვიქტორ სანიკიძე („მონტეპასკი“) — 2 ქულა, 5 მოხსნა. გიორგი შერმადინი („ოლიმპიაკოსი“) — 8 ქულა, 4 მოხსნა.

ამავე ჯგუფში ასევე დრამატულად განვითარდა მოვლენები „მაკაბისა“ და „ხიმკის“ დუელში, რომელიც აღქმული მიწის წარმომადგენელთა გამარჯვებით დასრულდა — 80:79. აღსანიშნავია, რომ მათმა ლიდერმა ჰიკმენმა 30 ქულა მოაგროვა.

„კახა ლაბორალი“ — „ფენერბახჩე“ 87:67.

კიდევ უფრო საინტერესო სანახაობაში გადაიზარდა „ე“ ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის „ეფეს პილსენისა“ და გამოკვეთილი აუტსაიდერის „ბროზეს“ მატჩი, რომელიც დამატებით დროში თურქებმა მოიგეს — 89:86. მართალია, გერმანულმა გუნდმა ყველა თამაში წააგო, მაგრამ იგი ნებისმიერ მეტოქეს ღირსეულად უმკლავდება, ამიტომ ძნელია საყვედური წამოგცდეს კაცს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

სასწორზეა ორი თასის ბედი

დღეს 17 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგვთავაზებს ევროპის ერთა თასის გათამაშების დასკვნითი ტურის ცენტრალური მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ბუქარესტიდან: რუმინეთი — საქართველო.

მოგეხსენებათ, აქამდე გამართულ შეხვედრებში მეტოქეებმა ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს, ასე რომ, აღნიშნულ თამაშს სატიტულო დატვირთვაც აქვს. ტრადიციულად, პრინციპული მოწინააღმდეგენი ანთიმოზ ივერიელის თასსაც გაითამაშებენ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ეროვნული ნაკრები

ქეცბაიას რჩეულნი

22 მარტს საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საფრანგეთის ნაკრებს ესტუმრება. თამაშს ქვეყნის მთავარი სარბიელი, სენ-დენის „სტად დე ფრანსი“ უმასპინძლებს.

ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებსაც ფრანგებთან მატჩისთვის უხმო. საქართველოს ნაკრები 18 მარტს პარიზში შეიკრიბება და ყველა ვარჯიშს იქ ჩაატარებს, ქეცბაია კი გუნდს თბილისში ჩამოუსვლელად, პირდაპირ კვიპროსიდან შეუერთდება.

მეკარეები: გიორგი ლორია (თბილისის „დინამო“), ნუკრი რევიშვილი („კრასნოდარი“, რუსეთი), როინ კვასხვაძე („ზესტაფონი“), გიორგი მაკარიძე („ლე მანი“, საფრანგეთი).

მცველები: უჩა ლობჟანიძე (კრივოი როგის „კრივბასი“, უკრაინა), აკაკი ხუბუტია (სარანსკის „მორდოვია“, რუსეთი), გურამ კაშია (არნემის „ვიტესი“, ჰოლანდია), ალექსანდრე ამისულაშვილი („კრასნოდარი“, რუსეთი), გიორგი ფოფხაძე (ბაქოს „ბაკი“, აზერბაიჯანი), ზურაბ ხიზანიშვილი (ქაისერის „ქაისერისფორი“, თურქეთი), დავით კვირკველია (გორის „დილა“), საბა კვირკველია (ყაზანის „რუბინი“, რუსეთი).

ნახევარმცველები: ბუბა დაუშვილი, ლევან ყენია (ორივე ლვოვის „კარპატი“, უკრაინა), სანდრო კობახიძე (კიევის „არსენალი“, უკრაინა), დავით თარგამაძე (მარიუპოლის „ილიჩევეცი“, უკრაინა), ირაკლი ძარია (თბილისის „დინამო“), ელგუჯა გრიგალაშვილი (ქუთაისის „ტორპედო“), ჯანო ანანიძე (მოსკოვის „სპარტაკი“), ირაკლი მაისურაძე (გორის „დილა“), დავით დევდარიანი („ორჰუსი“, დანია).

თავდამსხმელები: ლადო დვალიშვილი (ვარშავის „ლეგია“, პოლონეთი), მათე ვაწაძე („ორჰუსი“, დანია), ნიკა გელაშვილი („ბოხუმი, გერმანია).

საფრანგეთი-საქართველოს მატჩს ხორვატი მსაჯები მოემსახურებიან: ივან ბებეკი — მთავარი მსაჯი, ტომისლავ პეტროვიჩი და მირო გრგიში — თანამსაჯები, დომაგოი ვუჩკოვი — მეოთხე მსაჯი.

ბეჟან დოლიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ეპიტაფია

გარდაიცვალა ვალერიან ადვაძე

„ორდინკული ჩანაწერები“, — ასე დაარქვა ბატონმა ვალერიან ადვაძემ პუბლიცისტური და ესეისტური წერილების ციკლს, რომლებიც მოსკოვში, „მალაია ორდინკაზე“ იწერებოდა, სადაც ცხოვრების უკანასკნელი წლები სანახევროდ გაატარა. სანახევროდ იმიტომ, რომ ლექციებისგან თავისუფალ დროს თბილისში ატარებდა. ხშირად დაიჩივლებდა, — ასაკში შესული კაცი ვარ, შვილები და შვილიშვილები თბილისში მყვანან, მე რატომ უნდა ვცხოვრობდე მოსკოვში. სამშობლოსკენ მოუწევდა გული და აღარ სურდა საზღვარგარეთ ცხოვრება, მაგრამ, სამწუხაროდ, სამშობლოში ვერ პოულობდა იმას, რასაც მოსკოვში პოულობდა, დაფასებას მეცნიერული და პედაგოგიური პოტენციალისა, ცოდნისა, გამოცდილებისა, ბიოგრაფიისა... თუნდაც ასაკისა და ხანდაზმულობისა. მოსკოვში ფასი ედო ყოველივე ამას, თბილისში კი ეს ყველაფერი აბუჩად იყო აგდებული. ბატონი ვალერიანი მეცნიერი იყო ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. მას გარს ეხვივნენ როგორც მხცოვანი მეცნიერები, ასევე ახალგაზრდები, ვისაც ასწავლიდა, გზას უკვალავდა, მეცნიერების რთულ გზაზე სასიარულოდ ამზადებდა...

ასე ივსებოდა „ორდინკული ჩანაწერები“, ასე იწერებოდა „მელანქოლიის ანატომია“, იმ მელანქოლიისა, რომელიც, პირველ რიგში, სამშობლოს გამო სჭირდა. სამშობლოსი, რომელიც სწორედ მაშინ გადაიჩეხა უფსკრულში, როცა ეგონა, რომ თავისუფლება და ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა.

1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს. ეს საკმარისი აღმოჩნდა საამისოდ, რომ ლაფი და ტალახი ესხურებინათ.

ბატონი ვალერიანი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყო რუსეთის ფედერაციაში. ეს იყო საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტების წლები, როდესაც აშკარად ჩანდა, რომ ქვეყანა დაღუპვის გზით მიექანებოდა და უდიდესი ძალისხმევა იყო საჭირო მის გადასარჩენად.

2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ბევრ რამეზე ჩააქნევინა ხელი, საჯარო გამოსვლებსა და პუბლიკაციებზე უარი თქვა. საკუთარ თავში ჩაიკეტა. უფრო სწორად, მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობით შემოიფარგლა და პოლიტიკასა და საზოგადოებრივ საქმიანობას გაემიჯნა.

მოსახდენი მოხდა, ქართულმა ავანტიურამ რუსეთს საბაბი მისცა იმ ნაბიჯის გადასადგმელად, რასაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება ჰქვია.

კვლავ ივსებოდა „ორდინკული ჩანაწერები“ და იწერებოდა „მელანქოლიის ანატომია“.

ბატონი ვალერიანი ემიგრანტი არ იყო. ის თავისუფალად მოგზაურობდა თბილისსა და მოსკოვს შორის. ცხოვრების პირობები აქაც ნორმალური ჰქონდა და იქაც, მაგრამ თავს მაინც ემიგრანტად გრძნობდა.

ეს განცდა 2010 წლის ზაფხულში განსაკუთრებით გაუმძაფრდა, მას შემდეგ, რაც მეუღლე და თანამეცხედრე ქეთევან კოპალეიშვილი მოულოდნელად გამოეცალა ხელიდან.

გასული წლის 27 დეკემბერს ბატონი ვალერიანი თბილისში ჩამოფრინდა. ახალ წელს აქ შეხვდა. თებერვლამდე თბილისში დარჩენას აპირებდა, სამსახური ამის საშუალებას აძლევდა.

იანვრის ბოლოს აღმოჩნდა, რომ მისი სხეულისთვის ვერაგ სენს ჩაევლო ხელი. 15 თებერვალს მძიმე ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. 17 თებერვალს კი 82 წლისა შესრულდა. სამწუხაროდ, მეორე ოპერაციაც დასჭირდა და... 14 მარტს აღესრულა კიდეც.

გრძნობდა, რა თქმა უნდა, მარტივად რომ არ იყო მისი ჯანმრთელობის საქმე, მაგრამ ერთი პესიმისტური ნოტი არ გარევია ხმაში. საავადმყოფოში დაწოლის დღეს გამეხუმრა მხოლოდ, — თუ გადავრჩი, ხომ კარგი, თუ არადა, მოგიწევს ერთი ნეკროლოგის დაწერაო...

მისი საწერი მაგიდის უჯრაში კი ბევრი დასრულებული და ბევრი დაუსრულებელი ნაშრომი ინახება. მათ შორის — „ორდინკული ჩანაწერები“ და „მელანქოლიის ანატომია“...

ვალერი კვარაცხელია

გამოთხოვება

გიორგი ბოგველიშვილი



გარდაიცვალა საქართველოს მწერალთა კავშირის უხუცესი წევრი, მწერალი და ჟურნალისტი **გიორგი ზაძარიას ძე ბოგველიშვილი**.

მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე გიორგი ბოგველიშვილმა მშობელი ქვეყნისა და ერის უანგარო სამსახურს შეალია როგორც მისმა ერთგულმა შვილმა და მოჭირნახულემ.

გიორგი ბოგველიშვილი დაიბადა 1912 წლის 22 იანვარს თელავის იმდროინდელი მაზრის სოფელ წინანდალში. პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო, საშუალო — თელავსა და ბაკურციხეში. 1940 წელს კი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა.

გიორგი ბოგველიშვილი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გახლდათ და იარაღით ხელში იცავდა მამულს ფაშისტი დამპყრობლებისაგან. ომში გამოჩენილი გმირობისა და თავდადებისათვის იგი არაერთი ჯილდოთი დაჯილდოვდა.

ომის დასრულების შემდეგ გიორგი ბოგველიშვილი ნაყოფიერ ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა. იყო ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ მთავარი რედაქტორი, გაზეთ „კომუნისტის“ განყოფილების გამგე, ჟურნალ „საქართველოს კოლმეურნის“ განყოფილების გამგე, გაზეთ „საქართველოს ვეტერანის“ პასუხისმგებელი მდივანი და რედაქტორის მოადგილე, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი. სადაც კი იმუშავა, ყველგან საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ამ სანთელივით სუფთა და პატიოსანმა პიროვნებამ, ყველგან ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი და სათნოება გამოარჩევდა.

წლების განმავლობაში მუშაობდა წინანდლის მევენახეობის მეურნეობის დირექტორად.

გიორგი ბოგველიშვილის მოთხრობები, ნოველები, მხატვრული ნარკვევები თავს მწერლური სიმართლით და ოსტატობით გვამახსოვრებს. ამის დასტურია მისი ისეთი პროზაული კრებულები, როგორიცაა „შენი ხმა ჩამოდიოდა“, „იმზეურე, სულო ძლიერო“, „ალაზნური ჩანახატები“, „ის, რაც წარსულმა შემოინახა“, „ღრიანკალების დოღი“, „ნაცნობი კარავი“, „ნაჯვაფა“, „ჩემი სოფლის ვარსკვლავები“...

101 წელი იცოცხლა ამ დიდებულმა პიროვნებამ და ერისკაცმა. 101 სანთელი დაანთო მშობელი ქვეყნის საკურთხეველთან და ქართველ მწერლებს, მის მეგობრებს, დიდხანს ძალიან დიდხანს გაჰყვებათ ამ დანთებული სანთლების სურნელი, მადლი და მირონი...

საქართველოს მწერალთა კავშირი

◎ წკეპლიკა

არაადეკვატურობა ზოგია ტელეარხია

უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, „ადეკვატური“ ლათინური ძირის სიტყვაა და ნიშნავს „სრული შესატყვისი“, „სრული შესაბამისი“; როცა ეს იცი, „არაადეკვატურის“ განმარტება არ გაჭირდება — სიტყვა საპირისპირო მნიშვნელობას იძენს დართული „არა“-ს წყალობით...

გასაკვირი არცკია, რომ „არაადეკვატური“ უფრო მოდური, პოპულარული, ანუ ხშირად „ხმარებადი“ გახდა, ვიდრე „ადეკვატური“; იმიტომ არაა გასაკვირი, რომ ქვეყანაში არსებული თუ შექმნილი ვითარების წიაღ, არაადეკვატური მოქმედების, ქცევის, შეფასების, მსჯელობის მაგალითს გაცილებით მეტს ვხედავთ, ვიდრე ადეკვატურისა; და უპირველესი ნიმუში არაადეკვატურობისა, როგორც ეს მრავალთათვის ცნობილია, განვადებული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახლავთ — თავისი ქმედებით, ქცევით, შეფასებით, მსჯელობით... „საწუხ არს ესე“ და ისიც საწუხ არს, რომ ამ „ნაცია-სატანიანის“ (დიდი ილიას „კაცია-ადამიანის“ გახსენებით) არაადეკვატურობაზე აგრეთვე მრავალი ხუჭავს თვალს და იხშობს ყურს როგორც „საზღვარშიგნით“, ისე — საზღვარგარეთ.

ჰოდა, ასე სანიმუშოდ, ასე საარაკოდ არაადეკვტური ნაპირველპირალის კვალდაკვალ, ასე არაადეკვატურად ირჯებიან გრძელოს ბუნებრივი თუ ხელოვნური თანამგზავრები, მის ორბიტაზე მბრუნავნი — უმცირესობელნი, უმწირესობელნი, სხვა ნაცები, ზოგი ცოტა ნაცემი, ცოტა ცხვირსისხლიანი, ზოგიც ჯერად ცხვირშეუხებელი; ზედაც კიდევ ტელეარხები, ნაღდი ახვრები, „პირველ კლასში“ ჩარჩენილები ნაცურ წელთაღრიცხვაში ჩარჩენილები და იქიდან ინერციით ძველებურად მაშუქარნი; ერთი სიტყვით, პრონაცურები.

დიახ, საზოგადოებრივი მაუწყებელია ასეთი (პირველი არხი ყოფილი, ისე როგორც ქვეყნის პირველი პირი ყოფილი), „რუსთავი-2“-ა ასეთი, „იმედია“ ასეთი... სულ არ ფიქრობენ იერ-სახის, არსის, სტილის შეცვლას, არსებულ რეალობასთან მორგებას, სინამდვილის ადეკვატურობას: თითქოს არც პირველი ოქტომბერი (2012 წლისა!) ყოფილა, არც ხელისუფლება გამოცვლილა, არც პარლამენტი, არც პრემიერი; ვითომ ალუბალიც არ გაძვირებულა... ეტყობა, საზმაუწყებლიან-რუსთავიორიან-იმე-

დიანა იმის იმედზე არიან, რომ მიხეილ სააკაშვილი ისევ პრეზიდენტობს, ნაცები დიდწილად ისევ ნაცობენ და ანცობენ და მობრუნდებიან, „კიდევაც დაიზრდებიან“. სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ არაერთ ჭრილში უნიათობის შემყურე მაგ ტელეკომპანიათა იმედი ეგებ არცთუ უსაფუძვლოა... ასეა თუ ისე, აშკარად არ უნდათ დაიჯერონ, რომ „დრომ ახალი ძალით დაჰკრა, სხვაა (ქართველი) ადამიანი“...

საზოგადოებრივი როცა გქვია, მართლა საზოგადოებრიობის პოზიციას, თვალსაზრისს, ინტერესებს უნდა ემსახურებოდე და არა ნაცებისას. ასეთი რა მედიალოგე მყავს „ვინ არის და სად მოსულა“ ეგ დავით პაიჭაძე, კვირაში რომ 3-4 თითოსაათიან დიალოგს მართავს და თავად აშკარად პრონაცურ პოლიტიკას მიმართავს... ახლა ეკა კვესიტაძე თავისი ლამის ორსაათიანი „აქცენტებით“, ახალ წყობაზე შეფარული თუ დაუფარავი თავდასხმებითა თუ დაცემებით...ასეა, ჩემო ბიძიკოებო, საზოგადოებრივი მაუწყებელი თუ ხართ, საზოგადოების პოზიციას უნდა გამოხატავდეთ.

ახლა „რუსთავი-2“ აგრეთვე თითქმის ორსაათიანი „პოზიციითა“ თუ „პროფილით“ და „აღდგომილი“ ნინო შუბლაძეთი — ესაა მიუკერძოებელი გადაცემები? ან იმას თუ დაკვირვებიხართ, საინფორმაციო „ნომრებში“ ბაჩო ახალაიას ყოველი ხსენებისას სასამართლო დარბაზის იმ კადრებს რომ დაურთავენ ხოლმე, სადაც უგუნურთა ბრბო აღნიშნულ მართლაც ნაცურ ჯალათს ოვაციებითა და ფეხზე წამოდგომით ეგებება. ბარემ მენდელსონის „საქორწინო მარშიც“ დაუგუგუნონ...

განა საკვირველი არ არის, რომ ნაცთაგან აგრე გამწარებული ინა პატარკაციშვილის ხელში გადასული თუ დაბრუნებული „იმედი“ ეგებ ისე აშკარად არა, როგორც „საზოგადოებრივი“ და „რუსთავი-2“, მაგრამ მაინც ერთგვარად პრონაცურ ტენდენციებს ამჟღავნებს? ხომ დაკვირვებიხართ, სამივე ეკრანზე ნაცური ფიზიონომიები რომ გაცილებით ხშირად კრთებიან, ვიდრე ქაროცნული? ეგ კი არა, უკვე ისეთი ანტინაცური და ანტიმიშური ტელეფიგურის, როგორიც დავით აქუბარდია ბრძანდება, საინფორმაციო ეთერისაც მეეჭვება, სადაც ნაცებსა და მათ იდეოლოგიას ასევე ხშირად „ციტირებენ “...

მართლაც რომ ბევრი რამაა, ჩემო ჰორაციო, არასრულად საქართველოში დასაფიქრებელი და დასაეჭვებელი...

ბერდია ბედოიძე

მშობლები ჯამბულ ბასარია, თინა გულუა, ბაბუა კონსტანტინე ბასარია, ბებია ნათელა ჭანტურია, ძმა ბატატო ბასარია, და შორენა ბასარია, ბიძები კობა, ბაკურ, დავით გულუები, მამიდები ლალი, დალი ბასარიები დეიდა მზიური გულუა, სიძეები ზურაბ აკობია, ბუთა მიქაია, ზურაბ ცატავა, ვალერი ჭითანავა და სხვა ნათესავები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ბაადურ ბასარია

პანაშვიდი 17, 18 III (თბილისი, ნაძალადევი, იფნის ქ. 27), გამოსვენება ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიიდან (ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, სამედიცინო უნივერსიტეტის ეზო) დაკრძალვა 19 III, 14 სთ. ლისის ტბის მისასვლელთან არსებულ სასაფლაოზე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შესანიშნავ პიროვნებასა და მოქალაქეს, ამ გაზეთის მეგობარს ბაკურ გულუას დისწულის

ბაადურ ბასარიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

◎ ინფორმაცია

დაკავებული არიან მექრთამეები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ქრთამის აღების ფაქტზე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თანამშრომლის დაკავებაზე ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს. როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან იტყობინებიან, გამოძიებით დადგინდა, რომ სამინისტროს თანამშრომელმა თენგიზ მოდებაძემ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის აშენებულ ახალ საცხოვრებელ კორპუსში, სამოთახიანი ბინის მიღების სანაცვლოდ, ერთ-ერთ დევნილ ოჯახს ქრთამის სახით 500 აშშ დოლარი გამოართვა.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, ქრთამის აღების ფაქტზე, სამართალდამცველებმა ასევე დააკავეს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების ალის და წაღვლის რწმუნებულები მარგარიტა კულიჯანოვა და ელგუჯა კილაძე. მათთან ერთად დაკავებულია სოფელ ალის მკვიდრი გიორგი ნოზაძეც, რომელიც ქრთამის აღებაში ხელშეწყობისთვის არის ბრალდებული.

გამოძიებით დადგინდა, რომ კულიჯანოვამ და კილაძემ მსხვილფეხა საქონლის გაყიდვისთვის საჭირო ყალბი ცნობების დამზადების სანაცვლოდ, ქრთამის სახით 600 ლარი აიღეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც 6-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სულიერება

დიდმარხვის დასაწყისი – ყველიერის მიტევების კვირიაკე

17 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს განსაკუთრებულ დღეს, რომელიც წელიწადში ერთხელ აღინიშნება.

მიტევების კვირიაკეს ყველა ადამიანი, გაახელს თუ არა თვალს, უფალს შესთხოვს შენდობას, ღრმად იხედება თავის სულში და რაც უფრო ცხადად ხედავს თავის ცოდვებს, მით მეტი სინანულით ევედრება უფალს მიტევებას.

ამგვარად, ადამიანი გამოითხოვს შემოქმედი ღმერთისგან სულიწმინდის მადლს, რომელიც, ვითარცა ცეცხლი, განწმენდს სულს მანკიერებისგან.

შენდობის კვირიაკეს – თითოეულმა ჩვენგანმა თავი უნდა დავიმდაბლოთ და ყველა ადამიანს ვთხოვოთ, გვაპატიოს ჩვენი საქციელი, რომლითაც გული ვატკინეთ, უნდა ავმაღლდეთ საკუთარ თავზე (ყოველი ცოდვის სათავე ხომ ამპარტავნებაა).

ჩვენ უნდა შევუნდოთ ყველა ადამიანს ყველაფერი და ამის შემდეგ თავმდაბლობით და გულწრფელად ვითხოვოთ მისგანაც პატიება.

როგორც ამბობენ: მარხვა სინანულისა, აღდგომა სიხარულისა. დიდი მარხვა ეს ხომ ის დროა, როდესაც მთელი კაცობრიობა უფალ იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის წინაშე დგას და ამ უდიდესი მისტერიის თანაგანმცდელი და შემეცნებელია.



გიული ლიპარტია

◎ ალკოჰოლიზმი

ციფრებითა და ფაქტებით

შემთხვევების 76 პროცენტის დროს ალკოჰოლიზაცია იწყება 20 წლამდე, მათ შორის – 49 პროცენტის შემთხვევაში – ჯერ კიდევ მოზარდობის ასაკში.

150 ბოთლ არაყს სვამს წელიწადში საშუალო სტატისტიკური ასაკის მამაკაცი რუსეთში.

ამავე ქვეყანაში 25-30 ათასი კაცი იღუპება ყოველწლიურად ალკოჰოლური მოწამლვისგან.

10 პროცენტით ხანმოკლეა სიცოცხლის საშუალო სტატისტიკური ხანგრძლივობა ქალი-ალკოჰოლიკებისთვის არამსმელებთან შედარებით, 15 პროცენტით – ხანმოკლე მამაკაც-ალკოჰოლიკებთან შედარებით.

მამაკაცების 65 პროცენტში იმპოტენცია ალკოჰოლის მოხმარებისგანაა გამოწვეული.

მოსკოვში საყოფაცხოვრებო ტრავმების დაახლოებით 20 პროცენტი და 46 პროცენტი ქუჩის ტრავმებისა ალკოჰოლის მოხმარებასთანაა დაკავშირებული.

დაახლოებით 1,5 ლიტრი არყის 1 საათის განმავლობაში დალევა – სასიკვდილო დოზაა ჯანმრთელი მამაკაცებისთვის.

შუა საუკუნეების ევროპაში მთავარ ლოთებად გერმანელები ითვლებოდნენ. რუსები, მათ შესახებ ლოთობასთან დაკავშირებული ხმების – რომ სვამდნენ ოდითგანვე – საწინააღმდეგოდ, XVI საუკუნემდე მაგარ ალკოჰოლს არ იღებდნენ, არამედ სვამდნენ ბრაგას (შინაურ ლუდს) ან გაზავებულ ღვინოს.

მსოფლიოს 41 ქვეყანა დღეს „მშრალი კანონის“ პირობებში ცხოვრობს.

1849 **წელს** შვედმა ექიმმა მ.ჰუსმა პირველად გამოიყენა ტერმინი „ალკოჰოლიზმი“ ისეთი ავადმყოფური ცვლილებებისთვის, რაც ორგანიზმში ხდება სპირტიანი სასმელების მიღების გავლენის შედეგად.

არ არის საჭირო, დავსვათ თანაფარდობის ნიშანი ლოთობასა (სპირტიანი სასმელების არაზომიერ მიღებას), ანტისაზოგადოებრივ მოვლენასა და ალკოჰოლიზმს, როგორც ავადმყოფობას, შორის. ლოთობა წარმოშობს ალკოჰოლიზმს, თუმცა, ავადმყოფობა იგი არაა.

ალკოჰოლიზმის პირველი სტადია იწყება ყოველდღიური ლოთობის დროს საშუალოდ 6-12 თვის შემდეგ მამაკაცებისთვის და 3-6 თვის შემდეგ ქალებისთვის.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

◎ ანეკდოტები

პარიზში ვიყავი და ეიფელის კოშკი ვერ ვნახე.

ორმა მიზეზმა შემიშალა ხელი – ორმა არყის ბოთლმა.

* * *

იცით თუ არა, რომ ავადმყოფობა – ეს ორგანიზმის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც არ გინდა იმის ჭამაც კი, რაც ექიმმა აგიკრძალა...

* * *

ცოლ-ქმარი პარკში სეირნობს.

– დიახ, ძვირფასო, – ამბობს ქმარი.

– თუ ყვავის ყრანტალზე კიდევ ერთხელ მაინც იტყვი, დიახ, ძვირფასოო, იცოდე გაგეყრები, – ემუქრება ცოლი.

* * *

გასაოცარია, მაგრამ, ფაქტია, რომ ამ ფრაზის შემდეგ – „სიტყვები არ მყოფნისო“ ადამიანის შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელია.

* * *

ინტიმ-სალონის სასოწარკვეთილი გამყიდველი გოგონა, რომელმაც ვერანაირად ვერ მოიწყო პირადი ცხოვრება, რეზინის გასაბერ ქალში შეძვრა.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ყურადღებიანი გაზეთებიდან

სასამართლოს განაჩენებში დადებითი ტენდენცია უკვე შეიმჩნევა, – ამბობენ ადვოკატები

უზენაესი სასამართლოს მხოლოდ 2013 წლის იანვრის მონაცემებით, 2012 წლის იანვართან შედარებით, გამამტყუნებელმა განაჩენებმა 22 პროცენტით იკლო, ხოლო გამამართლებელი განაჩენების რიცხვი ნულიდან 4-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ამავე მონაცემების თანახმად, შემცირებულია გამოტანილ განაჩენთა რაოდენობა, რითაც შეიძლება აიხსნას გამამტყუნებელი განაჩენების შემცირება.

„2011-12 წლებში თამამად და პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკა სასამართლო საქმეებში პირდაპირ ერეოდა და იგი აბსოლუტურად არ იყო დამოუკიდებელი, 2012 წლის არჩევნების შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღმკვეთ ღონისძიებებთან დაკავშირებით, სასამართლოს ტონი ნამდვილად შერბილდა“, – ამბობენ ადვოკატები.

„რეზონანსი“

„გია ბარამიამ იცის, რომ სტრუქტურაში მისი დარჩენა შეუძლებელია!“

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შენობასთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გიორგი ბარამიას თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით, 15-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ დევნილებთან ერთად საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეების განცხადებით, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატი უკვე შერჩეული ჰყავთ. ზოგი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატს ადა მარშანიას ასახელებს.

– პირადად მე, ამის სურვილი არასდროს გამომითქვამს, მხოლოდ დევნილები მაძალებენ, – ამბობს ადა მარშანია.

„ვერსია“

სააკაშვილი ივანიშვილის განცხადებით შეშფოთებულია

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას „ჭორაობად“ მიიჩნევს და შეშფოთებას გამოთქვამს.

„პოლიტიკოსების მხრიდან ჭორაობა დაუშვებელია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება კონსტიტუციითაა დაცული და მისი დარღვევა ყოვლად დაუშვებელია“.

„ახალი თაობა“

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com